„იუნისეფის“ კვლევა გაჭრილი ვაშლივით ჰგავს „რუსთავი-2“-ის ტყუილებს! ④

საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი

მკითხველთა საყურადღებოდ!

რედაქციამ კიდევ ერთხელ შეიცვალა მისამართი! მობრძანდით კოსტავას ქუჩაზე, №21, II სართული, გამომცემლობა „სამშობლოს“ (ახლა სასტუმრო „სტამბის“) მოპირდაპირე მხარეს.

დაგვირეკეთ: 599-79-76-79, 599-36-00-35, 568-82-09-84

ოთხშაბათი, 20 ივნისი. 2018 წ. №127 (8528), ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 50 თეთრი.

ეროვნული პრობლემა



„გჯერა მათი ზაზა? გჯერა, რომ რომელიმე მათგანს ოდესმე აინტერესებდა, შვილმოკლულმა მამამ რა თქვა?!“

მოძალადეებთან და ვიგინდარებთან თანადგომა ბოროტებაა! ③

წულუკიანის სარკაზმა მთლად გადარია ნადირაშვილი! ②

მსოფლიოს მასონები მართავენ?!

ვის უფრო სჯერა შეთქმულების თეორიების? ⑨

ღრიალი, ჩხავილი ანგრევს ⑤ ჩვენს ჯანმრთელობას!

„კარგი ცხოვრება“ ყველას არ ჰყოფნის! ⑥

კუდა-ბზი-კათი ⑫



მამუკა ბახტაძე:

ეფექტური მმართველობისთვის 11 სამინისტროზე მეტი არ გვჭირდება!

● „პროგრამა, რომელიც მე წარმოვადგინე, მცირე მთავრობის კონცეფციას მოითხოვს. შესაბამისად, ჩვენ გვქონდა ერთადერთი საშუალება, რომ პარლამენტთან ამ საკითხებზე გვქონოდა კონსულტაციები — მთავრობა დამტკიცებულიყო ძველი სტრუქტურით. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ნდობას გამოაცხადებთ, შემდეგ ჩვენი გუნდი შემოიტანს კანონპროექტს, რომელსაც ერთად განვიხილავთ პარლამენტში. ეს გულისხმობს მათ შორის სამინისტროების შემცირებას. მე ნამდვილად ვთვლი, რომ დღეს საქართველოს ეფექტური მმართველობისთვის 11 სამინისტროზე მეტი არ სჭირდება. აქედან გამომდინარე, ეს არის ჩემი პოლიტიკური პასუხისმგებლობა. მე პარლამენტში მოვდივარ პროგრამით და ეს არის პროგრამის განუყოფელი ნაწილი.

● მე ვიყავი ფინანსთა მინისტრი დაახლოებით შვიდი თვის განმავლობაში და საშუალება მქონდა კომუნიკაციისა პარლამენტთან. ვთვლი, რომ ეს კომუნიკაცია და შეხვედრები იყო საკმაოდ ეფექტური და ამავე დროს, შედეგზე ორიენტირებული. ჩვენ გვაქვს ისეთი ტიპის გამოწვევები, რომლებიც გულისხმობს კოორდინაციის ძალიან მაღალი ხარისხის ქონას. ბუნებრივია, სხვაგვარად ჩვენ გაგვიჭირდება იმ გამოწვევებთან გამკლავება, რომლებზეც ვისაუბრე და მინდა, კიდევ ერთხელ, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ჩვენ ვიქნებით ძალიან აქტიურები. იმ შემთხვევაში, თუ ნდობას გამომიცხადებთ, როგორც მე, ასევე ჩემი გუნდის ყველა წევრს, ისინი ძალიან აქტიურად იქნებიან ჩართული ამ პროცესში“.

● საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ჭარბვა-

ლიანობაზე კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას და აცხადებს, რომ „ეს არის ჩვენი ეკონომიკის სისტემური რისკი“.

„ამას სჭირდება მიდგომა, რომელიც თანმიმდევრობით ამ რისკს შეამცირებს და როგორც შედეგი, გაანულებს ჩვენი ეკონომიკისთვის. ამ ტვირთის და ამ პრობლემის სისტემურობიდან გამომდინარე, აუცილებელია, ჩვენ ვიყოთ ძალიან თანმიმდევრული და ძალიან პრინციპული ამ პრობლემის მოგვარების გზაზე“.

● „როდესაც ვსაუბრობთ უსამართლო წესებზე ეკონომიკაში, ამის ყველაზე ნათელი მაგალითი იყო 2011-2012 წლები, როდესაც ჩვენს მეწარმეებსა და ქართული კომპანიების მნიშვნელოვან ნაწილს დაარიცხეს არასწორი საგადასახადო ვალდებულებები. აქედან გამომდინარე და იმ მნიშვნელოვანი იდეის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ეკონომიკაში გვსურს, თითოეული აქტივი მონაწილეობდეს სრულფასოვნად, ჩვენი პირველი ინიციატივა შეეხება იდეას, რომ სრულად ჩამოვაწეროთ ყველა გადამხდელს 2013 წლის პირველ იანვრამდე არსებული საგადასახადო დავალიანება. ეს შეეხება დაახლოებით 36 ათას გადამხდელს. მათ უკან დგას ქართული ოჯახები, ენერგია და საშუალება, რომ განაგრძონ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობა“.

● „დღგ-ის დაბრუნება იყო ერთ-ერთი ყველაზე რთული კომპონენტი და მე ამ შეფასებაში ვცდილობ, მაქსიმალურად რბილი ვიყო. ეს იყო ერთ-ერთი რთული კომპონენტი ბიზნესსა და სახელმწიფოს ურთიერთობას შორის. ჩვენ ბოლო თვეებმა გვაჩვენა, რომ ჩვენმა ინიციატივამ დღგ-ს დაჩქარებული წესით დაბრუნების შესახებ, მოგვცა კონკრეტული შედეგები“.

ამის ფონზე მილიარდ ნახევარზე მეტის დაბრუნება უახლოეს მომავალში მოხდება.

იხ. 2 გვ.

სოციალური მიმართულების მინისტრობის კანდიდატები მწყობრში არიან!

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, განათლებისა და მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე სამთავრობო პროგრამის „თავისუფალი, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ მიმდინარეობაზე მინისტრობის კანდიდატებისგან მოხსენებები მოისმინეს.

„განათლებისა და მეცნიერების სფეროში რეფორმების განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს და პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მამუკა ბახტაძის ხედვით, განათლებას, მეცნიერებას, ინოვაციურ მიდგომებს და ახალგაზრდულ პოლიტიკას სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება“, — განაცხადა განათლების და მეცნიერების მინისტრობის კანდიდატმა **მიხეილ ჩხენკელმა**.

მომხსენებელმა იმედი გამოთქვა, რომ ახალი პრემიერ-მინისტრის თაოსნობით, რეფორმები კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს და, ამავდროულად, თანამედროვე გამოწვევისა და მიზნების შესაბამის ხასიათს შეიძენს.

„ჩვენი ამოცანაა, განათლებისა და მეცნიერების სისტემა გახდეს ქვეყნის დემოკრატიული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მყარი საფუძველი. ამოსავალი პრინციპია ხარისხის ამაღლება. სისტემაში უმთავრესია ბავშვი, მოზარდი, ახალგაზრდა და განათლების მიღების ზრდასრული მსურველი“, — აღნიშნა მიხეილ ჩხენკელმა.

მინისტრობის კანდიდატმა განათლების სისტემაში უკვე განხორციელებულ პროგრამებზე ისაუბრა და უწყების პრიორიტეტულ მიმართულებებზე დეტალური ინფორმაცია წარმოადგინა. მისი ინფორმაციით, პროფესიული განათლების განვითარების, სპეციალური ტრენინგების გამართვის, სასკოლო სპორტული აქტივობების ხელშეწყობასთან ერთად, სამინისტროს ამოცანაა, სოფლის სკოლების კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებად ჩამოყალიბება, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო სერვისებზე წვდომის შესაძლებლობა მიეცემა.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მიმართულებით სამთავრობო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებზე ისაუბრა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრობის კანდიდატმა **დავით სერგეენკომ**.

„საქართველოს მთავრობამ გააკეთა აბსოლუტურად სწორი, პრაგმატული და რაციონალური არჩევანი, როდესაც გადაწყვიტა, რომ მიზნობრივი ჯანდაცვა გადაერთო საყოველთაო ჯანდაცვაზე. ბოლო წლების განმავლობაში ჯანდაცვის ბიუჯეტი მთლიანი შიდა პროდუქტის 2.5%-ს შეადგენს. გაიზარდა 2.5%-ით და გახდა 2.5%! ადვილი წარმოსადგენია საწყისი დონე 2012 წელს სად იყო. გაზრდილმა ბიუჯეტმა საშუალება მოგვცა, მთლიანად ჯანდაცვის სერვისების მოხმარება ჯერ კიდევ 2015 წლისთვის გაორმაგდა და ორჯერ მეტი ადამიანი იღებს გეგმიურ ამბულატორიას და მოიხმარს პირველადი ჯანდაცვის მომსახურებას“, — აღნიშნა დავით სერგეენკომ.

მინისტრობის კანდიდატმა სისტემაში ჯერ კიდევ არსებულ გამოწვევებზეც ისაუბრა და ერთ-ერთ პრობლემად მედიკამენტების ფასები და მათი შეძენისთვის დახარჯული თანხები დაასახელა. მისივე განცხადებით, სამინისტრო და მთლიანად მთავრობა მუშაობს ისეთი პროგრამების შედგენაზე, რომლებიც საპენსიო ასაკისა და სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობას მედიკამენტებზე დახარჯული თანხების ფინანსურ ტვირთს, მინიმუმ, გაუნახევრებს.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ ვრცელი ინფორმაცია წარმოადგინა მინისტრობის კანდიდატმა **მიხეილ გიორგაძემ**.

მან პარლამენტის წევრებს როგორც კულტურის მიმართულებით, ასევე სპორტის განვითარებისკენ გადადგმულ ნაბიჯები გააცნო.

მინისტრობის კანდიდატმა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, კულტურული ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაციაზე, სპორტული კომპლექსების მშენებლობასა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათზე გამოყოფილი თანხების ზრდის ტენდენციებზე ისაუბრა.

„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით, თურქეთის მხარესთან ისტორიულ შეთანხმებას მივაღწიეთ, რომლის შედეგედაც დასრულდა იშხანის ტაძრის რესტავრაცია და დაწყებულია ოშკის გუმბათის გამაგრებითი სამუშაოები. ამ პროცესში კი, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სამუშაოებში ქართველი სპეციალისტები არიან ჩართულნი“, — განაცხადა მიხეილ გიორგაძემ.

ირაკლი შოთაძეს ამ ტრიბუნიდან კიდევ ერთხელ მხარდაჭერას ვუცხადებ!..

იუსტიციის **მინისტრობის კანდიდატმა თეა წულუკიანმა ყოფილ მთავარ პროკურორს ირაკლი შოთაძეს მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოუცხადა.**

პარლამენტში, კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე, სადაც მინისტრობის კანდიდატები საკუთარ პროგრამებს წარადგენენ, თეა წულუკიანმა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებზე ისაუბრა და შოთაძის წვლილს გაუსვა ხაზი.

წულუკიანის სარკაზმმა მთლად გადარია ნადირაშვილი!

კითხვებზე **უნდა გაგვცეთ პასუხები, ქალბატონო თეა და ბოღმა არ უნდა ანთხიოთ,** — მიმართა იუსტიციის მინისტრობის კანდიდატს „ევროპული საქართველოს“ წევრმა ირმა ნადირაშვილმა კომტეტების გაერთიანებულ სხდომაზე. ირმა ნადირაშვილმა განაცხადა, რომ წულუკიანის ყოფნა პარლამენტში, როგორც კანდიდატის, სულ მცირე უხერხულია.

„როგორი არაადეკვატურიც არის ის, რომ ჩვენ დღეს აქ ვხედავთ თეა წულუკიანს, წარმოდგენილს, როგორც იუსტიციის მინისტრობისას, ასეთივე არაადეკვატური გამოსვლა ჰქონდა ქალბატონ თეას. ჩვენ არ ველოდებოდით იმაზე საუბარს, რაზეც ისაუბრეთ. პირადად მე თქვენგან ველოდები პასუხებს, თუ როგორ მოხდა, რომ თქვენ ხელი ვერ შეუშალეთ, მაგალითად, ჩატაევის ციხიდან გამოსვლას და თქვენს გამო შუა ქალაქში მივიღეთ კრიზისი. თქვენ ჩააფლავეთ მთლიანად სასამართლო რეფორმა. როგორ მოხდა, რომ თქვენი მადლობები მოვისმინეთ შოთაძის მისამართით, როცა ქალაქის ცენტრში კრიზისი გქონდათ შექმნილი და ადამიანები ითხოვდნენ, რომ სამართლიანად იყოს გამოძიებული საქმეები?! ამ კითხვებზე უნდა გვესაუბროთ, ჩემი აზრით, და არა ისევ ბოღმა ანთხიოთ, როგორც ამას აკეთებთ წლების განმავლობაში. გამოდით, ნუ ხართ ჩარჩენილი წარსულში და ნუ ცდილობთ ახლა ბიძინა ივანიშვილისთვის თავის მოწონებას ამ ტრიბუნიდან, რომ რამენაირად თანამდებობა შეინარჩუნოთ. უხერხულია, აქ რომ ზიხართ, როცა მთელი არასამთავრობო სექტორი აცხადებს, რომ თქვენთან საუბარი არ უნდა“, — მიმართა იუსტიციის მინისტრობის კანდიდატს მართლა „ბოღმის ბუკეტმა“ ირმა ნადირაშვილმა.

იქნება თუ არა წულუკიანი განახლებულ მთავრობაში?

მე ჩემს გუნდს, ვისთან ერთადაც ავიღებ პასუხისმგებლობას, წარვადგენ 2 კვირაში, — ასე პასუხობს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი მამუკა ბახტაძე ჟურნალისტების კითხვას, იქნება თუ არა მის გუნდში თეა წულუკიანი.

„2-3 კვირის თავზე, როდესაც ჩვენ გავივლით ყველა შესაბამის პროცედურას, რაც კანონით არის გათვალისწინებული, ბუნებრივია, თქვენ და საზოგადოებას მე წარვუდგენ იმ გუნდს, ვისთანაც ერთად ავიღებ პასუხისმგებლობას, რომ ამ პროგრამას შევასრულებთ...“, — აცხადებს ბახტაძე.

მთავრობის სამოქმედო გეგმაში თავდაცვას პრიორიტეტული ადგილი უკავია!

თავდაცვის **მინისტრობის კანდიდატი ლევან იზორია აცხადებს, რომ მთავრობისთვის მთავარ პრიორიტეტს უსაფრთხოება წარმოადგენს და ამას მთავრობის სამოქმედო გეგმაც ადასტურებს, სადაც, მისი თქმით, პირველივე თავში თავდაცვის და უსაფრთხოების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზეა საუბარი.**

თავდაცვის მინისტრობის კანდიდატი, ლევან იზორია აცხადებს, რომ მთავრობისთვის მთავარ პრიორიტეტს უსაფრთხოება წარმოადგენს და ამას მთავრობის სამოქმედო გეგმაც ადასტურებს, სადაც, მისი თქმით, პირველივე თავში თავდაცვისა და უსაფრთხოების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზეა საუბარი.

„მთავრობის ახალ პროგრამაში უსაფრთხოებას და თავდაცვას ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი უჭირავს. ის არის პირველ თავში მოცემული, რითიც ჩვენი ქვეყნის ისტორიული არჩევნის ხაზგასმა ხდება იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენი რეფორმებით, მათ შორის, თავდაცვის უწყებაში, მივაღწიოთ საქართველოს სრულფასოვან გაწევრიანებას ნატოში და მეტ ინტეგრაციას ევროკავშირში“, — განაცხადა თავდაცვის მინისტრობის კანდიდატმა.

საგარეო პრიორიტეტები ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაა!

საგარეო **პრიორიტეტები, რომელიც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ გაცხადებულია, არის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია,** — ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა დავით ზალკალიანმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, მამუკა ბახტაძის გადასაწყვეტია, იქნება თუ არა საგარეო უწყების ხელმძღვანელად წარდგენილი მთავრობის განახლებულ შემადგენლობაში.

„ერთად ვიმუშავეთ და ჩვენ საგარეო ურთიერთობათა მიმართულებით მნიშვნელოვანი ხელშესახები შედეგები გვქონდა. მინდა, შემდგომ საქმიანობაში მას წარმატება ვისურვო. საგარეო პრიორიტეტები, რომელიც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ გაცხადებულია, არის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. ეს ისტორიული არჩევანია, რაც გაკეთებულია ქართველი ხალხის მიერ და გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციითა და პარლამენტის მიერ 2016 წელს მიღებული რეზოლუციით, რომელიც საგარეო კურსს ეხება“, — განაცხადა ზალკალიანმა, რომელმაც აქვე აღნიშნა, რომ საქართველო ცდილობს, თავისი ადგილი დაიმკვიდროს და მინიმუმამდე დავიყვანოთ საფრთხეები და გამოწვევები, რომელიც არსებობს, რათა ჩვენი ქვეყნის სტაბილური განვითარება და უსაფრთხოება არის უმთავრესი, რაზეც უნდა იზრუნოს ქვეყნის მთავრობამ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ.

ფინანსთა სამინისტროს ყველა რეფორმა ემსახურება ქვეყნის ფისკალური მმართველობის მაღალ საერთაშორისო სტანდარტებზე აყვანას

განაცხადა ფინანსთა მინისტრობის კანდიდატმა ნიკოლოზ გაგუამ აგრარულ საკითხთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, დარგობრივი პოლიტიკის და ეკონომიკური პოლიტიკის, საფინანსო-საბიუჯეტო და რეგიონული პოლიტიკის და თვითმმართველობის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე.

„ჩემთვის დიდი პატივია, მოგმართოთ ფინანსთა მინისტრის კანდიდატის რანგში. დღეს მე წარმოვადგენ ფინანსთა სამინისტროს, მის იმ პროფესიონალთა გუნდს, რომელიც ორიენტირებულია რეფორმებზე, მათ წარმატებით განხორციელებასა და აღნიშნული რეფორმების კონკრეტულ შედეგებზე. ყველა ეს რეფორმა ემსახურება ქვეყნის ფისკალური მმართველობის მაღალ საერთაშორისო სტანდარტებზე აყვანას, რომელიც ქმნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის მყარ ფუნდამენტს ეკონომიკაში“, — განაცხადა ნიკოლოზ გაგუამ.

პენიტენციური სისტემა და ვიდეოსასამართლო...

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ვიდეოსასამართლო სისტემა ინერგება, რომელიც ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლო პროცესის წარმართვას ე.წ. ვიდეოკონფერენციის საშუალებით ითვალისწინებს, ისე რომ, მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გასვლა საჭირო არ იქნება.

აღნიშნული სიახლის შესახებ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრობის კანდიდატმა კახა კახიშვილმა პარლამენტში, გაერთიანებული კომიტეტების სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, რამდენიმე პენიტენციურ დაწესებულებაში ამისთვის შესაბამისი აღჭურვილობით დარბაზი უკვე მოწყობილია.

როგორც მინისტრმა კომიტეტების სხდომაზე განმარტა, გაზრდილია, როგორც სასამართლოში გამსვლელ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა, ასევე სამოქალაქო სექტორის კლინიკებში გამსვლელ პატიმართა რაოდენობა, თუმცა არ გაზრდილა საბადრაგო სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა, რაც გარკვეულ პრობლემას ქმნის და სასჯელაღსრულების სისტემას ხშირად არჩევანის წინაშე აყენებს.

„სისხლში მოსვრილი ბიჭები“...

„სისხლში მოსვრილი ბიჭები ხორავას ქუჩიდან“, — ასე ჰქვია ფილმს, რომელიც „გამომძიებელ-რეპორტიორმა“ პირველ დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით მოამზადა.

როგორც მოკლული დავით სარალიძის მამა ზაზა სარალიძე განმარტავს, ფილმში მისთვის ახალი არაფერი ყოფილა, თუმცა, ჟურნალისტური გამოძიება საზოგადოებას ჭეშმარიტების დანახვაში დაეხმარება.

„ეს ფილმი ჩემთვის მთავარი იყო იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოებამ უნდა დაინახოს ჭეშმარიტება და ის, თუ რა მოხდა ხორავას ქუჩაზე. იმედია, საზოგადოება დარწმუნდება, რომ ამდენს ტყუილად არ ვყვირი და ტყუილად არ ვჩხუბობ“, — აცხადებს სარალიძე.

როგორც ის განმარტავს, მკვლელობაში მონაწილე პირები ფილმშიც ნათლად გამოიკვეთნენ.

მაჩალიკაშვილი და სარალიძე ბახტაძესთან შეხვედრას ითხოვენ

„დღევანდელი მიმართვა იქნება პირდაპირ ივანიშვილისთვის, აღიარონ ეს სახელმწიფო დანაშაული. იქნას თემირლანი აღიარებული უდანაშაულოდ,“ — ეს განცხადება, სპეცოპერაციის დროს მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის მამამ პანკისში აქციის დაწყებამდე გუშინ გააკეთა.

როგორც მალხაზ მაჩალიკაშვილი აცხადებს, სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისთვის და დასაჯოს ყველა ის ადამიანი, ვინც ამ დანაშაულში მონაწილებდა.

„დაისაჯონ ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ამ ტერაქტში დამნაშავეები არიან. ეს არის პირდაპირ სახელმწიფოს დანაშაული. სახელმწიფო დანაშაული თუ არის, პასუხი უნდა აგოს, თუ არა და მოსახლეობა რისთვის არის, ხალხი რისთვის არის, მასა რისთვის არის, მთელი საქართველო რისთვის არის. ვის მოჰყავს ხელისუფლება მთავრობაში? ხალხს არა?! — იმ ხალხს იმ ხელისუფლების გადაყენებაც შეუძლია“, — განაცხადა მალხაზ მაჩალიკაშვილმა, რომელიც ასევე ითხოვს მამუკა ბახტაძესთან შეხვედრას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამბობს, რომ იძულებული გახდება, მხარდაჭერისთვის პოლიტიკოსებს მიმართოს და თბილისში აქციები დაიწყოს.

მოქალაქეებთან და ვიგინდარებთან თანადგომა ბოროტებაა!



„გჯერა მათი ზაზა? გჯერა, რომ რომელიმე მათგანს ოდესმე აინტერესებდა, შვილმოკლულმა მამამ რა თქვა?!“

გოგა ხაინდრავა დარწმუნებულია, რომ პოლიტიკურად ანგაჟირებული ჯგუფის მიერ გამოძიებული საქმის შედეგიც ანგაჟირებული იქნება. კინორეჟისორი ამბობს, რომ „ევროპული საქართველო“ შეეცდება, ხორავას ქუჩის ტრაგედია პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად გამოიყენოს. მისი თქმით, სამწუხაროა, რომ მხოლოდ ვლაპარაკობთ, ისიც შედეგზე და არ ვცდილობთ, გავარკვიოთ მიზეზი, რამ განაპირობა, რომ მოზარდები ასეთი სისასტიკით გაუსწორდნენ ერთმანეთს.

დღეს **გოგა ხაინდრავას** გვესაუბრება.

— საზოგადოება, რომელიც ხელისუფლებისგან ითხოვს სამართალს და მკვლელობაში ბრალდებულების დაკავებას, უარს ამბობს ამ მოთხოვნაში „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად დგომაზე, რაც ძალიან საინტერესოა, მაგრამ ასევე საინტერესო და მნიშვნელოვანია თავად ამ პარტიის მიზანი. როგორ ფიქრობთ, სარალიძის საქმე იყო მთავარი ბერკეტი ნაციონალების ხელში, რომ პროცესები რევოლუციური სცენარით განვითარებულიყო, რაც ვერ შედგა? როგორ ფიქრობთ, არის მათ პოლიტიკურ დღის წესრიგში რევანშის ახალი გეგმა?

— „ნაციონალური მოძრაობის“ რევანში ვერ შედგება ამ ქვეყანაში. „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, არ არსებობს, არც ამ ქვეყნისთვის და არც ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ეს არის მარგინალური ჯგუფი, რომელსაც გარკვეული მხარდაჭერა აქვს, ფსევდო ლიბერალური ძალებიდან, როგორც ჩრდილოეთით, ისე დასავლეთით. ეს არის სექტა, იმ ადამიანების ერთობა, ვინც წლების მანძილზე ძოვდა კეთილდღეობას ამ დამნაშავე ორგანიზაციასთან თანადგომაში.

— ამ პოლიტიკური ჯგუფის გეგმა ხელისუფლებაში დაბრუნებაა?

— რა მნიშვნელობა აქვს, რა არის მაგათი გეგმა, როდესაც სათავეში ყავლგასული მასხარა უდგათ?! თუ ვინმე უსმენს იმ ბოდვებს, რომელიც შიგადაშიგ გვესმის მათი პარტიული რუპორიდან, რომელსაც თვითონ ტელევიზიას ეძახიან, თუ ვინმე უსმენს იმ შიზოფრენიკის ბოდვას, მიხვდება რა გეგმებიც აქვთ. ეს არ არის სერიოზული, უფრო მნიშვნელოვანია და ჩვენ ამ დღეებში დავრწმუნდით, რომ ქართველი საზოგადოება გაიზარდა, პოლიტიკური ავანტიურისტები ადვილად ვეღარ ატყუებენ, მიუხედავად იმისა, რომ თემა, რომელიც დღის წესრიგში დადგა, ძალიან მძიმეა. საქართველომ მძიმედ განიცადა ხორავას ქუჩაზე დატრიალებული ტრაგედია, ეს ყველა ჩვენგანის ტრაგედიაა. თუმცა, საზოგადოებამ იგრძნო, სიცრუეს მიხვდა. სამწუხაროდ, ამ პროტესტს სათავეშივე ტყუილი დაუდეს. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ ვინ ითავა პროტესტის მართვა...

— საქმის გამოძიება და დამნაშავეების დასჯა — ეს იყო სიცრუე?

— პირველივე სიტყვა, რომელიც სრულიად საქართველომ გაიგონა და გაოგნდა, იყო სიცრუე. სასამართლო დარბაზიდან გამოსვლისთანავე ითქვა, მკვლელები გაამართლესო!!! ეს იყო შოკი! ამას არავინ ელოდა და არავინ შეეგუებოდა! ქართულმა პრესამ იმის მაგივრად, რომ შეესრულებინა თავისი პროფესიული დანიშნულება და ჯერ თავად გარკვეულიყო, ხოლო შემდეგ მომხდარი მკაფიოდ აეხსნა საზოგადოებისთვის... ამ სკანდალს ადევნებულმა ფსევდომედიამ, გაყვითლებულმა და აწ უკვე გაწითლებულმა ფეიკმედიამ ქვეყანას მოსდო, რომ დამნაშვეები გაამართლეს!!! არადა, ეს სიცრუე იყო. როგორც შემდგომში გაირკვა, დამნაშავეები არ გაუმარლებიათ! მეტიც, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, არასრულწლოვან ბრალდებულებს, პრაქტიკულად, სასჯელის მაქსიმალური ზომა მიესაჯათ.

აქვე აღვნიშნავ, რომ სრულიად გაუგებარი და დღემდე პასუხგაუცემელია მოსამართლის მოტივაცია განაჩენის გამოტანის დროს. კიდევ უფრო საეჭვოა შეცდომა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჯაროებისას გაიპარა.

— ერთია, რომ მაშინვე მოხდა საქმის პოლიტიზება და თვითონ სარალიძე გახდა პოლიტიკური პროცესების მონაწილე, მაგრამ მეორეა ის, რომ გამოძიებამ დაუშვა ამ საქმეში ძალიან ბევრი შეცდომა, რასაც ახალი გამოძიების პროცესი ადასტურებს...

— ესეც ამ ფეიკმედიის გავრცელებული სიცრუეა. ეს არ არის ახალი გამოძიება, გამოძიება გრძელდება საქმის იმ ნაწილში, სადაც დაუდგენელი გარემოებები დარჩა. მოზარდების მკვლელობის საქმე სასამართლოშია, პირველი ინსტანციის განაჩენი გამოტანილია და სასამართლო გამოძიება გაგრძელდება საქმეზე საბოლოო განაჩენამდე. რაც შეეხება შსს-ს მიერ წარმოებულ გამოძიებას, იქ არ არის გამორიცხული ახალი გარემოებები გაჩნდეს, რაც საქმის გადახედვას შეიძლება საფუძვლად დაედოს.

მიუხედავად იმისა, რომ მოზარდების მკვლელობა მთელი ქვეყნისთვის მძიმე და ტრაგიზმით სავსე განსაცდელია, გულწრფელი გულისხმიერება იბადება იმ ადამიანების მიმართ, ვისაც ბოროტების თანამოზიარედ არ იყენებენ. ჩვენ კი პროტესტის პირველივე წუთებიდან რა დავინახეთ?! ჯერ პროკურატურასთან და შემდეგ ტრიბუნაზე, მგლოვიარე მამის გვერდით იდგნენ ადამიანები, რომლებიც ახლო წარსულში სისტემატურად ძალადობდნენ ქართველ საზოგადოებაზე.

რანაირად შეიძლება დავიჯერო, რომ ის ხალხი სამართალს ეძებდა?! იქ ძირითადად თავი მოიყარეს პოლიტიკურად ანგაჟირებულმა რევანშისტებმა, რომელთა მოქმედების პოლიტიკური მოტივაცია იმთავითვე ცხადი იყო. მთელი აქციის მანძილზე, ნებსით თუ უნებლიეთ მათ გვერდით ვხედავდით ზაზა სარალიძეს (ვფიქრობ, რომ მისი საკუთარი ნებით). როგორც ცნობილი გახდა, ის „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტია, იმ დანაშაულებრივი ორგანიზაციის, რომელმაც უამრავი შვილმოკლული მამა დაუტოვა ამ ქვეყანას...

— გამოძიებამ აჩვენა, რომ ხარვეზები არის დაშვებული და მათ შორის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. როგორ ფიქრობთ, პროკურატურამ ასე ხარვეზიანად რატომ გამოიძია ეს საქმე, შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ადგილი გვაქვს საბოტაჟთან?

— ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, ძალიან დიდი ხარვეზები არის კვალიფიკაციის კუთხით ბევრ სფეროში. პოსტსაბჭოთა ქვეყანა ვართ. ნელ-ნელა გამოვდივართ ტყვეობიდან, მონობა მძიმე უღელია... სულ იმის ძიებაში ვართ, სად არიან ცუდები! პროკურატურაში ცუდები არიან, შსს-ში, სასამართლოში, მთავრობაში, ეკლესიაში, ყველგან! ყველა, ოღონდ ჩვენ არა! ჩვენ კარგები ვართ!! ასე არ არის. ჩვენ ერთი საზოგადოება ვართ და ის ფარისევლობა, მანკიერება, სიცრუე, შიში, რომელიც ჩვენს საზოგადოებას დღემდე ახასიათებს, საერთოა.

პროკურატურის გამოძიების მიმართ კითხვები გაჩნდა, ისევე როგორც ექსპერტიზის და განსაკუთრებით მოსამართლის მიმართ. დაველოდოთ პასუხებს. გრძელდება გამოძიება შსს-ში, დააკავეს სუბელიანი. მართალი გითხრათ, ძალიან მძიმე მოსასმენი და საყურებელი იყო ის აღვირახსნილი ნადირობა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, რომელმაც წალეკა პოლიტიკური სპექტრი, პრესა და ტელევიზია, ამ ოჯახის წევრების მიმართ. ის უბედურება, რომელიც მოზარდებში დატრიალდა, ყველას შეგვეხო, ყველას გვატკინა გული, არანაკლებ შემზარავად სუბელიანების ოჯახს, ყველამ თავის გულში ჩაიხედოს...

ამ დროს თვალთმაქცობა, პოპულიზმი და პოლიტიკური სპეკულაცია სამარცხვინო და აუტანელია. ვინ როგორ და რანაირად, რამდენად არის დამნაშავე, როგორ იქნება დადასტურებული ბრალდებები, რომელიც ისმის, იმედია, ძიება დაადგენს. სამართალი ალაგ-ალაგ არ კეთდება. ამ საქმეს საზოგადოება ბოლომდე ჩაწვდება და გამოიკვლევს, ეს ეჭვგარეშეა, თუ გვინდა რომ ჩვენი ბავშვები აღარ კვდებოდნენ თანატოლების ხელით!

ჩვენი მთავარი პრობლემა გახლავთ ის, რომ ჩვენ სულ ვებრძვით შედეგს! ამ დროს მთავარი არის მიზეზი. ავადმყოფობის მიზეზი თუ არ გვეცოდინება, შედეგს ვერ გავუმკლავდებით! ეს ორჯერ ორია! იქნებ ჩავუღრმავდეთ ცხოვრებას, გავაანალიზოთ, რა ხდება ჩვენს თავს და ეს სახიფათო ზედაპირულობა ფეიკმედიას დავუტოვოთ, მეტის თავი მაინც არა აქვთ...

ნეტავ, საიდან ჩნდება ყმაწვილებში დანაშაულის დაფარვის გაგება: ეს არ თქვა, ის არ თქვა, არ ჩაუშვა, დანაშაულის დაფარვა და ა.შ. ეს ხომ ეროვნული პრობლემაა, თუ მარტო სუბელიანს ეხება?! ხელისუფლებაში განტევების ვაცს ნუ ვეძებეთ. ხელისუფლება ჩვენი სარკეა და ჩვენი არჩევანი. როცა სიცრუე არის საფუძველში, შედეგიც შესაფერისი დგება.

იხ. 4 გვ.

ანზორ თოთაძე:

„იუნისეფის“ კვლევა გაჭრილი ვაშლივით ჰგავს „რუსთავი-2“-ის ტყუილებს!

„იუნისეფის“ კვლევა ბოლო წვეთი იყო, რამაც მთავრობის თავდაჯერებულობა შეარყია. მმართველი გუნდის საგანგებო სხდომამ თავისი შედეგი გამოიღო და ყოფილი პრემიერი დაგვემშვიდობა. თუმცა ეკონომიკური პროფილის მოხელეების მომავალი საქმიანობა კვლავაც ქვეყნის ერთ-ერთ გამოწვევად რჩება.

ამ კვლევის შედეგთა გაცნობა ქართველი ექსპერტებისთვის სიახლე არ ყოფილა. ისედაც ჩანდა, რომ ქვეყანაში ზოგადი სიღარიბის მაჩვენებელი იზრდებოდა შენელებული ეკონომიკური ზრდის, უმუშევრობისა და სამომხმარებლო ფასების მატების გამო. სპეციალისტებს არც ის გაუკვირდათ, რომ ბავშვები კვლავაც აღმოჩნდნენ ყველაზე დაუცველი ჯგუფის კატეგორიაში – ღარიბ ბავშვთა რაოდენობა 26,8%-დან 31,6%-მდე გაიზარდა; 14 ათასი ბავშვი ბაღში ვერ დადის, უფრო მოზრდილებს კი წიგნებიც არა აქვთ; ყოველი მეხუთე ბავშვი აღარ არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესში. არც ის არის გასაკვირი, რომ შინამეურნეობების 22,5% ფარდობითი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. უბრალოდ, ამ კვლევას გაცილებით მეტი წონა შესძინა იმ ფაქტმა, რომ ასეთი მძიმე დასკვნა „იუნისეფმა“ დადო.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** აცხადებს, რომ „იუნისეფის“ შეფასება რომც არ იყოს, გვერდზე თუ გავიხედავთ, დავინახავთ, რომ ყველას უჭირს. სიღარიბე ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა საქართველოში, ეს აპრიორი ჩანს და იმდენად თვალსაჩინოა, ამას განსაკუთრებული კვლევა არც სჭირდება. ანალიტიკოსის აზრით, „იუნისეფის“ კვლევა კარგია, მაგრამ ეს მთავრობის მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს და მხოლოდ მაშინ არ უნდა ახსენდებოდეთ, როცა „იუნისეფი“ ან რომელიმე სხვა ავტორიტეტული ორგანიზაცია ასეთ კვლევებს ჩაატარებს.

„საქართველოში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირის შესახებ ჩვენმა მთავრობამ ისედაც იცის. უბრალოდ, ამ დღეებში მოხდა უცნაური ფაქტი, როცა დაიწყეს მითქმა-მოთქმა, თითქოს მთავრობის გადადგომას აანონსებდნენ და საბოლოოდ მივიღეთ, რომ თურმე „იუნისეფის“ კვლევა განუხილავთ მმართველი გუნდის შეხვედრაზე. ეს ძალიან არასერიოზული, არასოლიდურია, როცა მმართველი პოლიტიკური პარტია ასეთ რაღაცებს გვთავაზობს. რუსთაველზე რა მასკარადიც მოაწყვეს „ნაცებმა“, ამაში ხომ არ უნდა აყვნენ „ნაციონალებს?“ ზოგადად, „იუნისეფის“ კვლევის განხილვის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ კვლევების განხილვას აქვს თავისი ფორმა. არასერიოზულია, როცა პოლიტიკური გუნდი იხილავს ასეთ კვლევას. ცოტა უფრო აკადემიური უნდა იყოს მოხსენება და სხვანაირი სიტუაცია სჭირდება ამის განხილვას“, – აღნიშნა დავით ზარდიაშვილმა.

მისივე მოსაზრებით, სიღარიბიდან თავის დაძვრენა შესაძლებელია სისტემური რეფორმებით ყველა მიმართულებით. ეს ეხება სოციალურ სფეროს, მმართველობით სისტემას, სამართალდამცავ ორგანოებს, მართლმსაჯულებას. ანალიტიკოსის აზრით, ყოფილ მთავრობას მეტი აქტიურობა უნდა გამოეჩინა და მეტი რისკი უნდა გაეწია. თორემ კვირიკაშვილი არაფერს აფუჭებდა, ბევრ რამეს აკეთებდა კიდეც, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. რეფორმების გატარებას პოლიტიკური რისკი სჭირდებოდა და სწორედ ასეთი მთავრობა გვინდოდა. თუმცა პოლიტიკური რისკის გატარების შესაძლებლობა რამდენად არის საქართველოში, ამაზე საუბარი დავით ზარდიაშვილს უჭირს.

პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძეს** აინტერესებს, რად გვინდა „იუნისეფის“, „იუნესკოსა“ და ათასნაირი საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევა, როცა მოსახლეობისთვის ყველაზე კარგი ინდიკატორია საკუთარი ჯიბე და საკუთარი მაცივარი.

„იმ კვლევაში რომც ასახულიყო, თითქოს საქართველო მეორე შვეიცარიაა, ან თითქოს შვედეთს უახლოვდება და ნორვეგიას გაუსწრო, ამით განა შეიცვლებოდა ვითარება? ჩვენ გვაქვს სტაბილური გაუსაძლისი ეკონომიკური მდგომარეობა“, – აღნიშნა სოსო ცინცაძემ.

დემოგრაფი **ანზორ თოთაძე** „იუნისეფის“ კვლევის დეტალებს არ იცნობს, არც ის იცის, რა მეთოდით ჩაატარეს მათ კვლევა, მაგრამ, თუკი „იუნისეფის“ კვლევას ვირწმუნებთ, გამოდის, რომ საქართველოში ყოველი მესამე ბავშვი ღარიბია. ეს კი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს „რუსთავი 2“-ის კვლევას, რომელიც გიორგი გაბუნიასთან ერთად ნიკა მელიამ შეაფასა, თითქოს თბილისში შობადობა შემცირდა და ეს ეკონომიკური მდგომარეობის ბრალია.

„წესით, შობადობა უნდა შემცირებულიყო სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგრამ თბილისში შარშან შობადობა გაიზარდა და 2 ათასით მეტი ბავშვი დაიბადა წინა წელთან შედარებით. საქართველოში სიღარიბე არის, მაგრამ ვერც იმ ფაქტს გავექცევით, რომ ყოველ მეორე ადამიანს მანქანა ჰყავს თბილისში. ეს ნიშნავს, რომ, ასე თუ ისე, მოსახლეობა მაინც ცხოვრობს და მთლად შიმშილით არ კვდება, როგორც „ნაციონალები“ გვარწმუნებენ.

სოციოლოგიური შესწავლისას ყველაზე გავრცელებულია გამოკითხვის ორი სახეობა - ანკეტირება და ინტერვიუ. ინტერვიუს დროს მთავარია რესპონდენტზე გამომკითხველის სუბიექტური შეხედულების ზეგავლენის თავიდან აცილება. ინტერვიუერს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ინტერვიუ არ არის მეგობრული საუბარი, ინტერვიუერი გამოკითხვისას უნდა იყოს ნეიტრალური, არ უნდა უბიძგოს რესპონდენტს განსაზღვრული მიმართულებით პასუხის გაცემისკენ. სუბიექტური ზეგავლენის მოხდენა რესპონდენტზე შეიძლება ინტონაციით, ჟესტებითაც გამოხატო. შეიძლება, შენი ჟესტით აიძულო რესპონდენტი, ზუსტად ის პასუხი გითხრას, რაც შენ გაწყობს. სწორედ ასე ატარებს სოციოლოგიურ გამოკითხვას „რუსთავი-2“ და პირადად გიორგი გაბუნია. მათ გამოკითხეს მხოლოდ ყველაზე ღარიბი და გაუბედურებული ფენა, რადგან ჩვენმა სახელმწიფომ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო, რომ ცხოვრების ნორმალური პირობები ჰქონდეს მთელ მოსახლეობას. უმეტესად ბაზრის გამყიდველებს ეკითხებოდნენ, რომელთაც ძალიან უჭირთ. რატომ არ გამოკითხეს ინტელიგენცია, მასწავლებლები, ინჟინრები, დიასახლისები?! მათი კითხვა შემდეგი იყო, „ასეთი მძიმე მდგომარეობის გამო უნდა გადადგეს თუ არა მთავრობა?!“ პასუხად იღებდნენ, „უნდა გადადგეს“! ამით „რუსთავი-2“-მა დაასკვნა, რომ თურმე მთელი საქართველო შიმშილობს“, – აცხადებს ანზორ თოთაძე.

მალური პირობები ჰქონდეს მთელ მოსახლეობას. უმეტესად ბაზრის გამყიდველებს ეკითხებოდნენ, რომელთაც ძალიან უჭირთ. რატომ არ გამოკითხეს ინტელიგენცია, მასწავლებლები, ინჟინრები, დიასახლისები?! მათი კითხვა შემდეგი იყო, „ასეთი მძიმე მდგომარეობის გამო უნდა გადადგეს თუ არა მთავრობა?!“ პასუხად იღებდნენ, „უნდა გადადგეს“! ამით „რუსთავი-2“-მა დაასკვნა, რომ თურმე მთელი საქართველო შიმშილობს“, – აცხადებს ანზორ თოთაძე.

დემოგრაფი „იმედის“ „პრაიმ შოუს“ კვლევაზეც საუბრობს, რომელიც სამეგრელოში ჩავიდა და, ასევე, ბაზრის მოვაჭრეები გამოკითხა. თუმცა იმ მოვაჭრეებიდან არავის უთქვამს, რომ არიქა, დაიქცა ქვეყანა და მშიერია მოსახლეობა. ეს ნიშნავს, რომ ორი გამოკითხვა სრულიად სხვადასხვა სურათს ხატავს.

სინამდვილეში, ანზორ თოთაძე ადასტურებს, რომ სიღარიბის დონე ქვეყანაში მაღალია, ვიდრე იყო თუნდაც გასულ წლებში, ან თუნდაც კომუნისტებთან შედარებით, როცა არავინ შიმშილობდა. იმ დროს ბავშვებს არ შიოდათ, ყველანი სკოლაში დადიოდნენ. ახლა კი, ცხადია, ლარის კურსის დაცემა მოქმედებს, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. თურქეთშიც ახლახან საშინლად დაეცა ეროვნული ვალუტის კურსი. ამის მიუხედავად, დემოგრაფს მიაჩნია, რომ საქართველოში მთლად ისეთი საგანგაშო მდგომარეობა არ არის, როგორც ზოგიერთები წარმოსახავენ.

მოამზადა
მანანა ნოზაძემ

მოქალაქეებთან და ვიგინდარებთან თანადგომა ბოროტებაა!

(მესამე გვერდიდან)

– ლოზუნგის „ნუ მომკლავ“ ადრესატი იყო ხელისუფლება...

– და ვინ მოკლა დღევანდელმა ხელისუფლებამ? იქნებ, გამახსენოთ, ვინ მოკლა?! შემიძლია, გაგახსენოთ სააკაშვილის ხელისუფლებამ ვინ მოკლა, ოღონდ ერთი ინტერვიუ არ გვეყოფა! ამიტომ ვამბობ, რომ ამ აქციის საფუძველშივე იდო სიცრუე და ფარისველობა! ამიტომაც არ აჰყვა ხალხი. „ნუ მოკლავ“ – აი, ეს უნდა შევუძახოთ, პირველ რიგში, ჩვენს შვილებს! ვუმეოროთ დაბადებიდან ყოველდღე! იქ ლოზუნგი, რომ ყოფილიყო – „ნუ მოვკლავთ“ მაშინ იქნებოდა სწორი. მაშინ გაერთიანდებოდა ხალხი. ყველა ჩვენგანმა უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა იმაზე, რასაც ჩვენი შვილები და შვილიშვილები სჩადიან.

რაც მოხდა, ეს ჩვენი საერთო დანაშაულია. ძალადობის პროპაგანდამ დაახრჩო ჩვენი საზოგადოება! რასაც ჩართავ, სადაც ჩაიხედავ ყველგან ძალადობა, ძალადობა, ძალადობა! რატომ გვიკვირს, რომ ჩვენი შვილები და უკვე შვილიშვილები მკვლელებად, არასრულწლოვან დამნაშავეებად იქცევიან?! რას ხედავენ ისინი ყოველდღე და რა ესმით გარშემო?! რას უყურებენ ყოველდღე ტელევიზორებში ჩვენთან ერთად?! ლანძღვა, გინება, ბილწსიტყვაობა, ფარისევლობა! როგორია ჩვენი საზოგადოების მენტალობა?!

ნეტავ, საიდან ჩნდება ყმაწვილებში დანაშაულის დაფარვის გაგება: ეს არ თქვა, ის არ თქვა, არ ჩაუშვა, დანაშაულის დაფარვა და ა.შ. ეს ხომ ეროვნული პრობლემაა, თუ მარტო სუბელიანს ეხება?! ხელისუფლებაში განტევების ვაცს ნუ ვეძებეთ. ხელისუფლება ჩვენი სარკეა და ჩვენი არჩევანი. როცა სიცრუე არის საფუძველში, შედეგიც შესაფერისი დგება. იმ საგამოძიებო კომისიის არ იყოს, რომელიც პარლამენტში შეიქმნა და სამართალი უნდა გამოიძიოს: მეცინება, აი, მეცინება, სატირალი რომ არ იყოს! კომისიაში დაბრძანდნენ ადამიანები, რომლებიც სულ ახლახან ძალადობის, მკვლელობისა და გაუპატურების სახელმწიფო პოლიტიკის იდეოლოგები იყვნენ!

ამავდროულად – მკვლელების, ხაზინის ქურდების, მოძალადეების „გამპრავებლები“ და ქომაგები! ხომ წარმოგიდგენიათ, რა „სამართალს“ აღასრულებს ბოკერია! ხომ გვაქვს ნანახი მისი ნამსხვრევებად ქცეული „ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ მიერ აღსრულებული „სამართალი“ - ეგრეთ წოდებული ციხის ბუნტის დროს, ნავთლუღის სპეცოპერაციის, თეთრაძის, შავაძის, გირგვლიანის მიმართ! ასეთ სამართალს დაეძებს ზაზა სარალიძე, როდესაც გახარიას და წულუკიანს არ ენდობა და ბოკერიას და კახიძეს ენდობა?!

– რატომ დაუშვა ხელისუფლებამ, რომ საგამოძიებო კომისიაში უმცირესობა ყოფილიყო უმრავლესობაში, როგორ ფიქრობთ, ამ გზით შეეცადა სახალხო პროტესტის ჩახშობას?

– სახალხო პროტესტი არ ყოფილა. პირველი დღიდან მოყოლებული იქ იდგნენ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები, სანამ ვითარებაში და ტყუილში გაერკვეოდნენ, სამართლიანად შეწუხებული ახალგაზრდები. მერე ვინც იდგა და რასაც გაჰკიოდა, მთელმა ქვეყანამ უწყვეტ, პირდაპირ ეთერში ვუყურეთ! ეს აქცია იმთავითვე დაგეგმილი იყო, ყველამ კარგად ვიცით, სად და ვის მიერ. ამ უნიჭო სპექტაკლის მონაწილეები თავად მეტყველებდნენ მის შინაარსზე. ის არის საგანგაშო და გულდასაწყვეტი, რომ შვილმოკვლული მამის უბედურებას ამოფარებულები, უსინდისოდ ცდილობდნენ საზოგადოების აბუჩად აგდებას. არ გამოუვიდათ და არც გამოუვათ არასოდეს! ჩვენ ეს კინო ნანახი გვაქვს! დიდი ხნის წინ, თანაც ბევრჯერ.

– გასაგებია, მაგრამ ხელისუფლებამ ოპოზიციას მიანდო საქმის გამოძიება.

– ხელისუფლებაშიც ხომ ჩვენნაირი ადამიანები არიან?! მათაც ჰყავთ შვილები და შვილიშვილები, ზოგი შეწუხდა, ზოგი შეშინდა, ზოგმა მომენტი იგრძნო... კომისიის შექმნას პარლამენტში რაღაც წესები აქვს, მე არ ვიცი როგორი, რეგლამენტი მოითხოვს ოპოზიციის წარმომადგენლების ყოფნას ამ კომისიაში. რა მნიშვნელობა აქვს, წერეთელი იქნება, კახიძე თუ ნურსა?! ყველანი ბოკერიები არიან. კახიძე მაგალითად, ორი გვამის მოყვარულ მერაბიშვილს იცავდა და დღესაც იცავს. ყველანი ერთნაირად ცდილობენ, გაამართლონ თანამოსაქმეები, რომელთანაც ერთად სისხლში ჩაახშვეს საქართველო – სააკაშვილი, ადეიშვილი, მეგის ქარდავა, მერაბიშვილი, კოხტა კოდუა და ა.შ.

ბოკერია იმიტომ გამოვყავი, რომ ამ დანაშაულებრივი ჯგუფის კრებსითი სახეა. რა მნიშვნელობაა, რას დაირქმევენ – „ევროპულ საქართველოს“ თუ „ანტარქტიდის

ხმაური, ღრიალი, ჩხავილი ანგრევს ჩვენს ჯანმრთელობას!

ძვირფასო მკითხველო! მე ფსიქობიოლოგი გახლავართ და მინდა, მოგახსენოთ, თუ რა უმძიმესი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ხმაურმა.

ადამიანებზე ხმაურის დამაზიანებელი გავლენა განპირობებულია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, შედეგად ზიანდება სმენითი ორგანო. ხმაური იწვევს ჰიპერტონიას, გულის იშემიურ დაავადებას, გაღიზიანებას და ცირკადული რითმის დარღვევას, ხმაურის გავლენას უკავშირებენ აგრეთვე იმუნური სისტემის რღვევით გამოწვეულ ახალშობილებში დეფექტების გამოწვევას.

მედიკოსებმა შენიშნეს, რომ მშვიდი მუსიკის ფონზე ჩანასახის სახეზე აღინიშნა ღიმილი, ხმაურის ფონზე კი ჩანასახის სახე იჭმუხნება. როდესაც ახალგაზრდებმა მასობრივად დაიწყეს ყურსასმენი ფლეიერებით ხმაურიანი მუსიკის მოსმენა, ახალგაზრდებში აღინიშნა გულის რევა, თავის ტკივილები... დახმარებისთვის მიმართეს ნევროპათოლოგებს. აღირიცხა აგრეთვე დარღვევები გენეტიკური აპარატის დონეზე რხევების შეუთავსებლობის გამო.

თავიდანვე მინდა, აღვნიშნო, რომ მაღალი ბგერები, ე.წ. **„აკუსტიკური ნაგავი“** იწვევს იმ ნეირონების სიკვდილს, რომელთა მეშვეობით ხორციელდება თავის ტვინში ხმოვანი რხევების შეგრძნება და გავრცელება. ბგერის გამაძლიერებლის ერთმა აკორდმა შესაძლებელია, გაანადგუროს რამდენიმე ასეული ნეირონი, რაც გავლენას ახდებს ახალგაზრდების თავის ტვინის განვითარებასა და მეხსიერების ფორმირებაზე. შედარების მიზნით, გავიხსენოთ, რომ მშვიდი საუბრისას ბგერის ზომა 20-30 დეციბელს არ აღემატება, ადამიანზე ხმაურის ზემოქმედების საშიში ზღვარია 45-60 დეციბელი, მტვერსასრუტის ბგერა ხშირად 85 დეციბალს აღემატება, თვითმფრინავის ხმაური აფრენის დროს კი 110 დეციბელია. ხმაურის დასაშვები ნორმა ადამიანებისთვის 20-30 დეციბელის ფარგლებში მერყეობს. უკვე 35 დეციბელი იწვევს ადამიანის გაღიზიანებას, 42 დეციბალის პირობებში მნიშვნელოვნად მატულობს თავის ტვინში სისხლის წნევა. როდესაც ხმაური 50 დეციბელს აღემატება, ბავშვებში აღინიშნება აგრესიული ქცევები, უმადობა, ძლიერი აგზნება, დეპრესია და ადრენალინის ჭარბი რაოდენობით გამოყოფა, რაც იწვევს მათ არანორმალურ ქცევებს. თანამედროვე მუსიკალური სისტემების დინამიკების სიმძლავრე რამდენჯერმე აღემატება რეაქტიული თვითმფრინავების ძრავების ხმაურსაც კი, რაც საკმაოდ აზიანებს თავის ტვინის ნერვულ სისტემას.

სპეციალურად იქნა შესწავლილი მიოკარდიუმის ინფარქტის შემთხვევები შედარებით მშვიდ და ხმაურიან, ტრანსპორტით გადატვირთულ ქუჩებზე მცხოვრებ ადამიანებში. დადგენილია, რომ ხმაურიან, ტრანსპორტით გადატვირთულ ქუჩებზე მცხოვრებ ადამიანებში მიოკარდიუმის ინფარქტით დაავადების შემთხვევები 25 %-ით იყო გაზრდილი. ადამიანზე 20 წუთის განმავლობაში 60 დეციბელის ზემოქმედების პირობებში თავის ტვინში ირღვევა სისხლის მიმოქცევა, მნიშნელოვნად უარესდება ადამიანების სმენა. 40-60 დეციბალის პირობებში კი მნიშვნელოვნად ზიანდება ცენტრალური ნერვული სისტემა, ირღვევა გულის რითმი, აღინიშნება ტაქიკარდია და სხვ.



საგულისხმოა, რომ რესტორნებში, ბარებსა და კაფეებში **აკუსტიკური ხმაურის** გამო, პრაქტიკულად ირღვევა ახალგაზრდების ფსიქოემოციური განწყობა, განსაკუთრებით ალკოჰოლის ფონზე, ისე, რომ არც გონება და არც სული არ ექვემდებარება ინტელექტუალურ კონტროლს, იკარგება ცნობიერება და ქვეცნობიერად იღვიძებს ცხოველური მისწრაფებები, სექსუალური ლტოლვა, აგრესია, რაც ხშირად მკვლელობითაც კი მთავრდება. სამწუხაროდ, უშუალოდ რესტორნებში ისეთი ხმაურია „მუსიკის“ გამო, რომ შეუძლებელი ხდება საუბარი მეგობრებთან, მსგავსი პირობები არცერთ უცხოურ რესტორანსა და კაფეში არ მინახავს. უკრავენ საკმაოდ მშვიდ მუსიკალურ ნაწარმოებებს, საკმაოდ დაბალ ტონებში, არავინ ცდილობს, ხმაურიანი მუსიკით მიიზიდონ კლიენტები რესტორანში შესასვლელად.

ის, რაც ხდება ხმაურის გამო თბილისში, ყოვლად დაუშვებელია, უშუალოდ ქუჩებშია ღრიანცელი, ცეკვა-თამაში რესტორნების წინ, დინამიკები მიმართულია მოსახლეობის ბინებისაკენ.

პრაქტიკულად რესტორნები და კაფეები „რესტორან ფილარმონიად“ გარდაიქმნენ, ოღონდ ქუჩებში, რაც სერიოზულად არღვევს მოსახლეობის ფსიქიკის, მშვიდ მდგომარეობაში ყოფნას სამუშაოს დამთავრების შემდეგ.

სამწუხაროდ, პარლამენტის დადგენილების მიხედვით, ხმაურის დონის შემოწმება ხდება ოჯახში დახურული ფანჯრების პირობებში, გამოდის, რომ რესტორნებმა და კაფეებმა ღია ფანჯრების პირობებში უნდა იხმაურონ, ჩვენ კი, მოსახლეობა, ზაფხულში დახურული დარაბებს მიღმა უნდა ვისხდეთ და ველოდოთ, თუ როდის გახდება 10 საათი, თუმცა შაბათ-კვირას, რესტორნებსა და კაფეებში ღრეობა ლამის დილამდე გრძელდება. არა მგონია, ასეთი დადგენილება იცავდეს მოსახლეობის სოციალურ უფლებებს, უცხოეთში მეზობელიც კი ისჯება ხმაურის გამო. ალბათ, დროა პარლამენტმაც იმსჯელოს ამის შესახებ და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

ახლა კი მინდა, მოგაწოდოთ ხმაურის შკალა დეციბელებში, რაც პარლამენტის დადგენილებაში არაა გათვალისწინებული: 20 დეციბელი – თითქმის ისმის ადამიანის ჩურჩულის სახით 1 მეტრის მანძილზე, 30 დეციბელი დასაშვები მაქსიმალური ნორმაა მოსახლეობისთვის საცხოვრებელ ბინებში, 150 დეციბელი იწვევს კონტუზიასა და ტრავმებს, დეციბალის შემდგომი გაზრდის შედეგად აღინიშნება სხვადასხვა სახის (სმენის) მემბრანების დაზიანება. ალბათ, სასურველია ქალაქში აიკრძალოს ყველა სახის ხმაურის გამომწვევი მიზეზი და დავიცვათ თბილისელების სოციალური უფლებები. აღსანიშნავია, რომ ხმაურის გამო დაუზუსტებელი მონაცემების მიხედვით ათასობით შეტყობინება შედის პოლიციაში...

ცალკე განსჯის საგანია ქუჩის მუსიკოსების პრობლემა, რომლებიც არა თუ მღერიან, არამედ ყვირიან. თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე მოსახლეობამ ასე მიმართა მათ: შვილებო, ან სიმღერა ისწავლეთ, ან თავი დაგვანებეთო. ალბათ, დროა, ამ საკითზეც გამახვილდეს ყურადღება, ვინაიდან მათი დაუსრულებელი დინამიკებით მოღვაწეობა საცხოვრებელ ბინებთან ახლოს, კიდევ უფრო შემაშფოთებელი გახდა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ევროპაში ქუჩის მუსიკოსებს აქვთ ლიცენზია და მათ შეუძლიათ საცხოვრებელი ბინებისგან მოშორებით, სათანადო სივრცის არსებობის პირობებში, ერთი-ორი საათი დაჰყონ და დროულად დაასრულონ „კონცერტი“. უცხოეთში აკრძალულია მსმენელებისგან საფასურის გამოძალვა, როგორც ეს ხდება ჩვენთან თბილისში, როგორც წესი, ახალგაზრდა გოგონები თუ ვაჟები ქუდით ხელში თანხას ძალავენ ტურისტებსა და გამვლელ მოქალაქეებს. ვფიქრობ, ამ პრობლემას მთელი სერიოზულობით უნდა მოეკიდოს მერია, პარლამენტის მიერ გადამუშავებული დადგენილების შესაბამისად. ინფორმაცია ხმაურზე შესაძლებელია მოიპოვოთ ინტერნეტში:

1. https://asa.scitation.org/doi/abs/10.11.12/193322.
2. https.www.amerislecep.com/blog/sound-impacts-slecp-cycle/.
3. htt://www.who.int/ceh/capacity/noise.pdf

ნუგზარ ალექსიძე.
პროფესორი

ლიბერალებს“?! რა ნაძირალებიც იყვნენ, ის ნაძირალები დარჩებიან. ჩვენ ხომ ვიცით, რისი ჩამდენნი არიან?! ამ ბოროტებმა რა სამართალი უნდა დაადგინონ. ბუნებრივია, ეს არის პოლიტიკურად ანგაჟირებული ჯგუფი და შედეგიც ანგაჟირებული ექნებათ. შეეცდებიან, რომ სათავისოდ გამოიყენონ მომენტი. თუმცა, მინდა, დავარწმუნო – ამაოდ! ვერაფერს ვეღარ გამორჩებიან! სამაგათო ამ ქვეყანაში აღარაფერი მოიძებნება!

საცოდაობა და გულდასაწყვეტი ის არის, რომ ამ ფარსში მონაწილეობს სარალიძე. ადამიანი, რომელსაც ამხელა უბედურება დაატყდა თავს... მაგრამ ეს მისი არჩევანია. ნუთუ არ ესმის ამ პოლიტიკური მეძავების თვალთმაქცობა, როდესაც წამდაუწუმ გაიძახიან ტელეეკრანებიდან: ზაზამ ასე თქვა, ზაზამ ისე თქვა! ჩვენ ისე მოვიქცევით, როგორც ზაზამ თქვაო... გჯერა მათი ზაზა? გჯერა, რომ რომელიმე მათგანს როდისმე აინტერესებდა, ზაზამ რა თქვა?! ჩვენ ხომ ვიცით, რომ ასი წელი არ აინტერესებს არცერთ მათგანს ზაზა.

რა არის მათთვის განცდა და ადამიანის გულისტკივილის გაზიარება, ეს ირინამ იცოდა ენუქიძემ, იური ვაზაგაშვილმა! ბოკერიამ და კომპანიამ კომისიაში ექსპერტად მოიწვიეს ქადაგიძე – იური ვაზაგაშვილის შვილის მკვლელობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი!!! ხომ გესმით, რა სიმართლეს დაადგენენ ის და ჭაია! გამოიყენებენ სარალიძეს, ამ გაუბედურებულ ადამიანს, ისე, როგორც მხოლოდ მაგათ შეუძლიათ, ისე, როგორც მაგათ სჭირდებათ. არანაირი თანადგომა მათთან არ შეიძლება. თანადგომა შეიძლება, წესიერ ადამიანებთან, ვიგინდარებთან და მოძალადეებთან თანადგომა ბოროტებაში თანამონაწილეობაა. ასეთ გარემოებაში საზოგადოების მხარდაჭერა არ გექნება.

თამთა ქარჩავა

საქართველოდან ევროკავშირში თავშესაფრის მიღების მსურველთა რაოდენობა 133 პროცენტით გაიზარდა

ევროკავშირში მიგრანტებთან დაკავშირებული პოლიტიკური კრიზისი გრძელდება, თუმცა მათი ნაკადი თანდათან სუსტდება: 2017 წელს თავშესაფრის მთხოვნელთა რაოდენობა 44%-ით შემცირდა. ლტოლვილთა დახმარების ევროპული ბიუროს მონაცემების თანახმად, კლების ტენდენცია მიმდინარე წლის პირველ კვარტალშიც შეინიშნებოდა. გარდა ამისა, მასობრივი მიგრაციის მთავარმა მარშრუტებმა მიმართულებები შეიცვლა – აღმოსავლეთ და ცენტრალურ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან დასავლეთისაკენ გადაიწია, ანუ ესპანეთისაკენ.

ამ თემასთან დაკავშირებით „EuroNews“-ის ბრიუსელის ბიუროს კორესპონდენტი ანდრეი ბეკეტოვი წერს.

სტატიის ქართულენოვან ვერსიას საინფორმაციო სააგენტო **„ნიუსპრესი“** გთავაზობთ:

ევროპაში ყველაზე მეტი ლტოლვილი სირიიდან, ერაყიდან და ავღანეთიდან ჩადიან. მათ ემატებათ ნიგერიელები, პაკისტანელები, ირანელები, ერითრეელები და... ალბანელები (აქვე შევნიშნავთ, რომ ალბანეთი ნატოს წევრი სახელმწიფოა). იმ ადამიანების პროპორცია, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში ლტოლვილის სტატუსს იღებს, 55%-დან 50%-მდე შემცირდა. თავშესაფრის მიცემის ნაცვლად, მათ ხშირად ჰუმანიტარულ დაცვას სთავაზობენ. სხვათა შორის, მიგრანტებს ყველაზე ძალიან გერმანიაში ყოფნა მოსწონთ, თუმცა განცხადებების მიღება 2017 წელს 70%-მდე შემცირდა (2016 წელს 223 ათასი მსურველი იყო). მეორე და მესამე ადგილს იკავებენ იტალია (129 ათასი განცხადებით) და საფრანგეთი – 99 ათასით.

2017 წელს თავშესაფრის მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას ელოდებოდა 954 ათასი განმცხადებელი – 16%-ით ნაკლები, ვიდრე 2016 წელს.

კლებადობის ამ ტენდენციებიდან გამონაკლისს საქართველო წარმოადგენს: 133%-ით გაიზარდა საქართველოს იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებთაც საერთაშორისო დაცვის მიღება სურთ. ამასთან, ქართველებს შენგენის ზონაში გასამგზავრებლად ვიზა არ სჭირდებათ.

„EuroNews“

„კარგი ცხოვრება“ ყველას არ ჰყოფნის!

პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი გადადგა. გადადგა თუ გადააყენეს?

ალბათ უფრო მეორე, ვინაიდან გადადგომისთვის გამზადებული მტკიცედ არ იტყოდა, რომ წასვლას არ აპირებს. მან ეს თქვა რამდენიმე თვის წინათ — გაბეზრებულმა ჟურნალისტების შეკითხვებით. რა შეიცვალა კვირიკაშვილის მაშინდელი ოპტიმისტური განცხადებიდან დღემდე?

ბევრი არაფერი. ცხოვრება ისეთივე მძიმეა, როგორც მაშინ. მოსახლეობაც ისეთივე დათრგუნვილია, როგორც მაშინ, თუმცა ეკონომიკური სიდუხჭირე და სავალალო სოციალური ვითარება საქართველოს მოსახლეობას არასდროს უბიძგებდა ქუჩის დემონსტრაციებისა და მიტინგებისკენ. ზოგი ქარაფშუტა მავანის განმარტებით, ქართველი არასდროს გაიპროტესტებს უპურობა-უფულობას, შიმშილს. მას ეს პირად შეურაცხყოფად მიაჩნია.

ევროპისკენ მიმავალი ქვეყნისთვის სრულიად მიუღებელია მსგავსი აზროვნება. იქ, კვირა ისე არ ჩაივლის, დემონსტრაციების, ქუჩის გამოსვლების, გაფიცვებისა და მანიფესტაციების ტალღამ არ გადაუაროს საფრანგეთს, გერმანიას, იტალიას, ესპანეთს, სხვა ქვეყნებს. ქუჩის დემონსტრაციების 80%-ზე მეტი სწორედ ეკონომიკურ, სოციალურ საკითხებს ეხება ანუ ცხოვრებას. ხშირ შემთხვევაში ქუჩა აღწევს მიზანს და ხელისუფლებას აიძულებს, შეცვალოს პოლიტიკა. ხელისუფალთა გაჯიქების შემთხვევაში ხალხი რევანშს, არჩევნების დროს იღებს. არც ვადამდელი არჩევნების დანიშვნას აქვს გამონაკლისის სახე.

ხელისუფლება, რომელმაც ვერ გაართვა ქვეყნის მართვას თავი, კარგავს ხელისუფლებას. ეს, მარტივი ჭეშმარიტება, შორს არის საქართველოს მოსახლეობის აზრისგან. მას რატომღაც სოციალურ საკითხებზე ქუჩის აქციების მოწყობა ეთაკილება.

კვირიკაშვილის გადადგომის მიზეზი არ ყოფილა ქუჩის სოციალური აზვირთება, ასე რომ საბაბი მისი წასვლისა სხვაა. „როგორ არაა?“ — შემედავება მავანი, — „განა საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალური ფონი, გადადგომის ინიციატორი არ არისო?“

არის, მაგრამ ვინ იცის, რომ სოციალური გაუსაძლისობა, სოციალური უთანასწორობა შიმშილია? ყველამ იცის, მაგრამ ქუჩაში არავინ გამოდის.

ხელისუფლებამ იცის, რომ ქართველი უპურობის გამო ქუჩაში არ გამოვა. მან არათუ იცის, დარწმუნებულიცაა ამაში და თავს უფლებას აძლევს, სოციალური საკითხები მხოლოდ სახელისუფლებო დონეზე მოაგვაროს. უზომო ხელფასები, სახელისუფლებო შეღავათები, ძვირადღირებული უცხოური კუნტრუში, სხვა სიკეთეები მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ისინი ხომ რჩეულები არიან?!

„კარგი ცხოვრება“ ყველას არ ეყოფა და რახან ასეა, ვისაც ეყოფა — ხელისუფლებაა. ხალხმა იცის, რომ ასეა და მას ვერაფერი შეცვლის, ამიტომაც ზის სახლში და „რუსთავი-2“-ის ტყუილების გაუსაძლისობით „ტკბება“.

ხალხი რისთვისაც გამოდის, ბოლო თვის მოვლენებმა დაგვანახვა — მაგალითად, უხეშად რომ ვთქვათ, ნარკომანიის დასაცავად, შვილმოკლული მამის დასახმარებლად.

მიძინებული ქვეყნისთვის სახალხო მიტინგები უდავოდ მაღვიძარას როლს ასრულებდა, მაგრამ ის არ იყო ისეთი მასშტაბური, ხელისუფლების ყოფნა-არყოფნას რომ დამუქრებოდა.

დიახ! იყო მოწოდებები პრემიერ-მინისტრის, სხვა მინისტრების გადადგომის მოთხოვნით, მაგრამ არა იმ ძალის და მასშტაბის, როგორც მეზობელ სომხეთში.

კვირიკაშვილი ამ მიტინგების გამო არ გადამდგარა. მაშ, რამ აიძულა კვირიკაშვილი გადამდგარიყო?

პარლამენტმა, რომელსაც შეეძლო, პრემიერის და მთავრობის მუშაობა უარყოფითად შეეფასებინა და უნდობლობის ვოტუმი გამოეტანა?

არა!

ოპოზიციამ?

მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო ოპოზიციისთვის კვირიკაშვილი და მთავრობა მუდამ მიუღებელი იყო, მისი სურვილი ვერ ასრულდებოდა მარტივი მიზეზის გამო — ის უმცირესობაა. აი, რაც შეეხება უმრავლესობას, ერთი სიტყვაც არ დასცდენია მთავრობის უსუსურობის თაობაზე. პირიქით, ისეთ ხოტბას ასხამდა, თითქოს მართლაც ყოფილიყო ქების ღირსი.

რა ძალამ იმოქმედა კვირიკაშვილზე, რომ დარჩენის გადაწყვეტილება, წასვლით შეეცვალა?

ღვთიურმა ძალამ, რომლის გავლენის არეალი უკიდეგანოა — მას ივანიშვილი ჰქვია, კაცი, რომელიც ბედკრულ საქართველოში ლამის ღმერთთანაა გატოლებული. გადადგომის წინადღეს „ოცნების“ შეკრებაზე უმსჯელიათ საკადრო საკითხებზე და ივანიშვილის გადაწყვეტილებაც მოუსმენიათ, მაგრამ რატომღაც „ოცნების“ ბობოლა წევრებმა სინამდვილე დაუმალეს ხალხს. ჟურნალისტების კითხვაზე — კრებამ განიხილა თუ არა საკადრო საკითხები? — უმრავლესობის საპარლამენტო ლიდერმა თალაკვაძემ თქვა: „ჩვენ ვიმსჯელეთ გაეროს ეგიდით ჩატარებული კვლევის შედეგებზე. ... მე, დაბეჯითებით გეუბნებით, რომ საკადრო საკითხების განხილვა არ ყოფილა“.

ამ „სიმართლემ“ მხოლოდ რამდენიმე საათი გაძლო.

როდესაც ესოდენ აქტუალურ თემასთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი უტიფრად ატყუებს ხალხს, სხვა შემთხვევაში რას იზამს? — მაგრამ ხალხიც მიეჩვია ტყუილებს, ვითომ ქვეყნის წინსვლას და განვითარებას რომ ეხება.

ელექტრონული და ბეჭდვითი მედია გაჯერებულია საქართველოს ეკონომიკური წარმატებებით სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებში და უცბად საკითხი, რაზეც „ოცნების“ უმრავლესობამ „იმსჯელა“ — სიღარიბის ზრდა. **გაეროს UNICEF-ის (ბავშვთა ფონდის) მონაცემებით სიღარიბის მაჩვენებელი 2015 წელთან შედარებით, საგრძნობლად გაზრდილია. 2017 წელს მოსახლეობის 5% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა. 2015 წელს, ეს მონაცემები 2.1%-ს შეადგენდა.**

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, ამაზეა ნათქვამი. „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სისტემატურად გვესმის სახელისუფლებო ექსპერტებისა და „ოცნების“ ფანების განცხადებები — ისინი ბევრს აკეთებენ, მაგრამ PR-ი არა აქვთ, ანუ თურმე დაპირებული ქარხანა-საწარმოებიც გუგუნებს და სოფლის მეურნეობაც ყვავის, თუმცა ამის შესახებ არავინ იცის, ვინაიდან ხელისუფლების წარმომადგენლებს, სამომავლო პროექტებში ყელამდე ჩაფლულებს, იმის დროც არ რჩებათ, უკვე გაკეთებულზე აუწყონ ხალხს. სააკაშვილის წყალობით ერთ მტკაველ ქვეყანაში ჩიტის გაფართხალებაც ისე ისმის, ვითარცა არწივის და აღმოსავლეთში ან პირიქით დასავლეთში აგუგუნებული ქარხნის ხმაური გამორჩებოდა ხალხს?

UNICEF-ის დასკვნა უდავოდ საგანგაშოა, ვინაიდან UNICEF-საა და მეტი არაფერი, თორემ **ის, რაც ამ ორგანიზაციამ თქვა, ჩვენ დიდი ხანია, ვიცით, იცის ხელისუფლებამაც, მაგრამ საკუთარი თავისა და ნათესავ-მეგობრების დაპურება, უპირველესად, მიაჩნია. ასეა ყველა დონეზე — ქვეყნის პრეზიდენტიდან დაწყებული, რეგიონის რიგითი მოხელით დამთავრებული. ასე იქნება მომავალშიც, ვინაიდან არ ჩანს მანკიერი სისტემის ცვლის მცდელობაც კი.**

ივანიშვილის გამოკლებით, მესამე პრემიერ-მინისტრი მოევლინა ქვეყანას — სულ რაღაც თითზე ჩამოსათვლელ წლებში. **არვინ იცის, რატომ, რა პარამეტრებით, რა კრიტერიუმებით ინიშნება პრემიერი; ისე, როგორც არავინ იცის, რისთვის ტოვებს ის თანამდებობას — სააკაშვილის დროიდან — გაფარჩაკებულს (სააკაშვილის ტერმინოლოგია).**

სულ ახლახან ჟურნალისტის კითხვას მთავრობის არაკარდინალურ შეცვლასთან დაკავშირებით, რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა ასე უპასუხა — რეფორმები, რომლებიც ჩვენ დავგეგმეთ, სწრაფ მოქმედებას საჭიროებას. ახალი მინისტრი კი საქმეში მხოლოდ ორი წლის შემდეგ გაერკვევაო. მინისტრი და არა პრემიერ-მინისტრი. აქ კი, როგორც ჩანს საქმეს არავინ უყურებს. ერთი კაცის მოწონება-არმოწონებით წყდება ყველაფერი. ასეთი ქვეყნის პოლიტიკას, კუდი ყავარზე არ უნდა ჰქონდეს გადებული და სხვებს, მხედველობაში მყავს მეზობლები, ქილიკით არ უნდა მოიხსენიებდეს არადემოკრატიულ ქვეყნებად.

UN6ICEF-ის კვლევა სერიოზული მანიშნებელია იმისა, რომ გაღატაკებულს მწვანე შუქს არავინ აუნთებს ევროსაბჭოს ან ნატოს კარიბჭესთან. ევროკავშირი, რომელსაც უამრავი პრობლემა დაუგროვდა, ახლის აკიდებას საქართველოს, უკრაინისა ან მოლდოვის სახით ვერ გარისკავს, მით უმეტეს იმ ვითარებაში, როდესაც „დიდი ბატონი“ (აშშ-ის სახით) ალმაცერად უყურებს თვით ამ ორგანიზაციის არსებობას.

ეს სხვა თემაა და სხვა დროს შევეხებით, სიღარიბის აღმოფხვრა კი ერთობ მძიმე რამ არის და მისი ზედაპირული განცხადებებით დაძლევა შეუძლებელია, თუნდაც ასეთით: **„თითოეული ინიციატივა თუ ძალისხმევა, რომელსაც განვახორციელებთ, იქნება ორიენტირებული სწორედ ადამიანზე. ... ამისთვის საჭირო პრინციპულობა, გუნდურობა, მაღალი კომპეტენციის ხარისხი. ... მე დარწმუნებული ვარ, რომ ამას აუცილებლად მივაღწევთ და საქართველო გახდება ძლიერი, ერთიანი, ევროპული ყაიდის ქვეყანა“.**

ამის წამკითხველს უდავოდ დაებადება ლოგიკური კითხვა — აქამდე ვინ უშლიდა ხელს დანაპირების შესრულებაში?!

არც არავინ, გარდა საკუთარი თავისა!..

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

საქართველოს მეთევზეები საერთაშორისო ბაზრებზე გასვლას ცდილობენ

საქართველო, აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან — ბოსნია-ჰერცოგოვინასთან, მაკედონიასთან, მოლდოვასთან, მონტენეგროსთან და თურქეთთან ერთად, ბელგრადში მეთევზეობის სექტორის შესახებ სამდღიან სემინარში მონაწილეობს. მონაწილე ქვეყნები მეთევზეობის სექტორში არსებულ რეგულაციებს და განხორციელებულ პოლიტიკას, ბაზრებზე წვდომას და აღმოსავლთ ევროპაში თევზის პროდუქტებით ვაჭრობას მიმოიხილავენ.

თევზი საერთაშორისო სასურსათო ბაზარზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პროდუქტია. შესაბამისი გლობალური ვაჭრობის მოცულობა ყოველწლიურად 145 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალია ევროპის ქვეყნებში. რეგიონული შესაძლებლობების განვითარების სემინარი — „WTO, ბაზრებზე წვდომა და თევზით ვაჭრობა“, ორგანიზებულია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), EUROFISH-ის, სერბეთის სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის და წყლის რესურსების მართვის სამინისტროს მიერ.

ევროკავშირი ზღვის პროდუქტების უმსხვილესი იმპორტიორია. თუ გავითვალისწინებთ აღმოსავლეთის მიმართულებით ევროკავშირის მოსალოდნელ გაფართოებას, დღის წესრიგში დადგება საერთო რეგულაციებისა და პოლიტიკის მორგება. შესაბამისი ღონისძიებები შესაძლოა, მოიცავდეს სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებას, როგორიცაა ხარისხის უზრუნველყოფის ლაბორატორიების ამოქმედება, საბაჟო სამსახურები და კომერციული პროცედურები. სწორედ ამ საკითხების განხილვა წარმოადგენს ბელგრადში მიმდინარე სემინარის მიზანს.

რუსეთი ყირიმს ნებაყოფლობით დაუბრუნებსო, — ამბობს კრავჩუკი

უკრაინის პირველი პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი ვარაუდობს, რომ რუსეთი ყირიმს ნებაყოფლობით დაუბრუნებს კიევს. ამის შესახებ კრავჩუკმა უკრაინულ მედიას განუცხადა. კრავჩუკის თქმით, ნახევარკუნძულის გასანვითარებლად ძალიან დიდი თანხებია საჭირო.

„ერთ დროს რუსეთი ყირიმს ფინანსურად ვერ გაუმკლავდა, ამიტომ ჩვენ გადმოგვცა, ახლა მსგავს სიტუაციას ვაკვირდები“, — განაცხადა პირველმა პრეზიდენტმა. მისი თქმით, მიუხედავად აშენებული ხიდისა, რეგიონი კოლოსალურ დანახარჯებს მოითხოვს, პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ყირიმის უკრაინისთვის გადაცემა დროთა განმავლობაში მოხდება და მასზე საერთაშორისო ზეწოლაც იმოქმედებს. **„მე არ მჯერა თეორიის, რომ როგორც კი უკრაინაში ცხოვრება გაუჯობესდება, ყირიმი დაბრუნდება. ჯერ ერთი, მე არ ვიცი, უკეთესად როდის ვიცხოვრებთ, თან იქ 78 პროცენტი რუსი ცხოვრობს. თუმცა თვითონ მოსკოვი დაგვიბრუნებს“,** — აცხადებს კრავჩუკი.

„დემონებმა“ გორელებს გული და გონება აურიეს!

მაღალჩინოსნებმა გორში სპექტაკლი პროტესტის ნიშნად დატოვეს

გორში კომედიის საერთაშორისო ფესტივალი გაუგებრობით დასრულდა, დასკვნით ღონისძიებაზე სამეფო უბნის თეატრის დასის მიერ წარდგენილი „დემონები“ გაკიცხვის საგანი გახდა.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, დასკვნითი სპექტაკლი „უცენზურო სიტყვებისა და კულტურული საზოგადოებისათვის შეუფერებელი მიზანსცენების“ გამო გორის მერიის მაღალჩინოსნებმა ოჯახებთან ერთად პროტესტის ნიშნად დატოვეს.

„დარბაზი ათეულობით ადამიანმა დატოვა. ამის მიზეზი, მათი შეფასებით, უხამსი სიტყვები და კულტურული საზოგადოებისათვის შეუფერებელი მოქმედებების ჩვენება გახდა.

კომედიის ფესტივალის დასკვნით საღამოზე „დემონების“ წადგენის ფაქტი არ მოეწონა გორის მერს კოტე თავზარაშვილს, თუმცა სპექტაკლზე ბოლომდე დარჩა. დარბაზი, მოქალაქეების გარდა, მისმა მოადგილემ ეკატერინე სუხიშვილმაც ოჯახის წევრებითურთ დატოვა.

გორის მერი ამბობს, რომ ეთანხმება გორის კულტურული საზოგადოების მიერ გამოთქმულ შენიშვნებს და ასეთ კომენტარს გვთავაზობს: „მოგეხსენებათ, დასკვნით ღონისძიებას გორის კულტურული საზოგადოება ესწრებოდა და თავისთავად დიდი უკმაყოფილება გამოიწვია იმ უხამსმა სიტყვებმა და ქმედებებმა, რაც წარმოდგენილი იყო. ჩვენ ვიცოდით, რომ დასკვნითი სპექტაკლი რუსთაველის თეატრს უნდა წარედგინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და სამეფო უბნის თეატრის დასი ჩამოიყვანეს. ახალგაზრდული თეატრი ყოფილა და, როგორც გვითხრეს, მათი სპექტაკლი თბილისში ანშლაგით ტარდება.“

მისი განცხადებით, ფესტივალის მენეჯერს მერისთვის წინასწარ არ შეუთანხმებია რეპერტუარი.

„ამ კუთხით, მათ სრული თავისუფლება ჰქონდათ. თუმცა, ვფიქრობ, რომ რეპერტუარის თაობაზე საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინათ შესაბამისი სამსახური,“ — აცხადებს კოტე თავზარაშვილი.

გორის მერის მოადგილე ეკატერინე სუხიშვილი შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრთან საუბრისას აცხადებს, რომ „დემონებს“ ფსიქოლოგიურ და რთულად შესასრულებელ სპექტაკლად თვლის, თუმცა ფესტივალის დახურვის საცერემონიო ჩვენებისთვის შეუფერებლად მიიჩნევს.

„იქ მაყურებელი სულ სხვა განწყობით მივიდა. ელოდა განტვირთვას, კომედიურ ჟანრს. ფესტივალის მიზანი ეს იყო: დაუბრუნეთ ღიმილი ნაომარ ქალაქს. მაგრამ, რაც იქ მოვისმინეთ და ვნახეთ, ეს იყო მაყურებლის შეურაცხყოფა. არ შეიძლება, ასმენინო უხამსი სიტყვები ადამიანებს, რომლებიც იქ ოჯახის წევრებთან ან მშობლებთან ერთად არიან მისულები. ნაცვლად განტვირთვისა და მხიარულებისა, **დასტრესილები** წამოვედით. არაჩვეულებრივი სპექტაკლია თავისი შინაარსით, მანკიერი მხარეების ჩვენებით, მაგრამ თეატრი უნდა იყოს მაგალითის მიმცემი. პირიქით, უნდა ვასწავლოთ ხალხს ერთმანეთის პატივისცემა, სიყვარული და არა ის, რაც ვნახეთ“, — ამბობს ეკატერინე სუხიშვილი.

სპექტაკლის რეჟისორი მიხეილ ჩარკვიანი გორის მერის სურვილს სოციალურ ქსელში ეხმაურება:

„გორის მერს ფესტივლებია სწორი თუ ფესტივალები, ეს ვერ გაურჩევია. ითხოვს ფესტივალისგან შესაბამის სამსახურებთან (რომელია ეგეთი სამსახური?) რეპერტუარის შეთანხმებას და ხელფასს იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან“.

როგორც მიხეილ ჩარკვიანი ამბობს, სპექტაკლში მართლაც უხვადაა უცენზურო ტექსტი და კიდევ ბევრი სხვა დეტალი, რამაც შეიძლება გააღიზიანოს გარკვეული შეხედულებების მქონე მაყურებელი.

„დგებოდნენ და ტოვებდნენ დარბაზს ან ადგილზე ფუთფუთებდნენ შეურაცხყოფილები, მერე ფოიეშიც დიდი ამბავი ყოფილა. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ შეურაცხყოფილი იყო უმეტესად უფროსი თაობის მაყურებელი. ახალგაზრდები ისხდნენ, დიდი ინტერესით უყურებდნენ და ისმენდნენ ამ სასტიკ, შავი იუმორით გაჯერებულ ტექსტს, რომელშიც, მე თუ მკითხავთ, მაინცდამაინც სასაცილო არაფერია. იმის თქმა მინდა, რომ თეატრი არსებობს მსგავსი პროცესებისთვის. ეს არის ის იშვიათი მომენტი, როცა თეატრი ამართლებს თავის ფუნქციას.

ძალიან ბევრი ადამიანი დარჩა დარბაზში, რომელსაც მოეწონა სპექტაკლი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაჩნდა საკამათო საკითხი მათთვის, ვინც დარბაზში დარჩა და მათთვის, ვინც დარბაზიდან გავიდა. ამ დისკუსიის არსებობა უმნიშვნელოვანესია ქართულ თეატრალურ სივრცეში და მისი არარსებობა არის ამწუთას ყველაზე მწვავე პრობლემა. მოკლედ, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო და მიხარია, რომ ამ სპექტაკლით მოვხვდი ამ ფესტივალზე“, — წერს ფეისბუქზე სპექტაკლის რეჟისორი.

ფაქტს გამოეხმაურა სამეფო უბნის თეატრის მთავარი რეჟისორი დათა თავაძეც.

„ბოდიშს გიხდით ვიდეოს ხარისხისთვის. ჯერ მეფარებოდნენ და მერე ფოკუსი ძლივს გავასწორე და მალევე დავნებდი (ცოტა ოთხთვალაც ვარ, არ დაგავიწყდეთ), თუმცა, მგონი, მაინც ნათელია ამ ვიდეოში, რამდენად პოზიტიურია მაყურებლის რეაქცია გორში გამართულ სპექტაკლზე „დემონები“.

დიდი მადლობა მათ ამისთვის! ყოველთვის გვიხარია გორის თეატრის მაყურებელთან შეხვედრა! და ვიცი — მათაც! კომედიის ფესტივალი — Comedy Fest — მეორე მხრივ, საინფორმაციო სააგენტოები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ ლამის ნახევარმა დარბაზმა დატოვა სპექტაკლი, რაც არ არის სიმართლე და რომც იყოს, ეს არ იქნებოდა საგანგაშო. საგანგაშოა გორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების პოზიცია და მათი კომენტარები, რაზეც ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ ჩემს აზრს. დღეს გელოდებით სამეფო უბნის თეატრში — „დემონები“ ამ სეზონზე ბოლოჯერ გაიმართება!

„დემონების“ შესახებ:

„დემონების“ რეჟისორი მიშა ჩარკვიანი გახლავთ, კომპოზიტორი — ერეკლე გეწაძე, მხატვარი — ქეთი ნადიბაიძე. მთავარ როლებში კი არიან — კახა კინწურაშვილი, ნატუკა კახიძე, თორნიკე გოგრიჭიანი,ქეთა შათირიშვილი. „დემონების“ ავტორი ლარს ნურენი გახლავთ, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი შვედი დრამატურგი.

„ფრანკს შინ გარდაცვლილი დედის ფერფლი მოაქვს. დაპირების მიუხედავად, მის ცოლს სახლი არ დაულაგებია, არც ძმა და რძალი გამოჩნდებიან, რათა ერთად გამოეთხოვონ დედას. შეკავებული გრძნობები ერთიანად ამოხეთქავს, როცა მათთან სტუმრად მეზობლად მცხოვრები ოჯახური წყვილი ამოდის. ეს თითქოს ჩვეულებრივი საღამო თავშეუკავებელ, დამამცირებელ და სასტიკ დაპირისპირებაში გადაიზრდება, სადაც ორი ქალი და ორი კაცი საკუთარ დემონებს სრულ თავისუფლებას მისცემს“, — ვკითხულობთ სამეფო უბნის თეატრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

◎ „გულისჯიბით სატარებელი წიგნები“

ორ მინიატიურულ წიგნში ჩატეული შემოქმედნი

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ ქართველ მკითხველსა და მინიატიურული წიგნის მოყვარულთ ახალი საჩუქარი გაუკეთა — გამოვიდა გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის **გიორგი ლეონიძის** ლექსების კრებული **„მყვირალობა“** და ცნობილი მწერლის, კინოსცენარისტისა და რეჟისორის **გოდერძი ჩოხელის** ლექსების, პოემებისა და მინიატიურების რჩეული **„ცა არის შორი“**.



ჩვენი გაზეთი რუბრიკით „გულისჯიბით სატარებელი წიგნები“ უკვე წლებია, მიმოიხილავს ასოციაციის მიერ გამოცემულ მინიატიურულ წიგნებსა და ყოველწლიურ ალმანახებს „მწიგნობარი“, მაგრამ იშვიათად ხდება, რომ გამოჩენილ კლასიკოსთა შემოქმედება ერთდროულად ორი წიგნით იყო წარმოდგენილი, რაც დასაფასებელია და აღსანიშნი, თუ რაოდენ დიდი შრომა გასწია გამომცემლობამ და ასოციაციამ.

გოგლა ლეონიძის შემოქმედება ათეული წლებია, ატკბობს ქართველ და არამარტო ქართველ მკითხველს. ამ კრებულში, რომლის შემდგენელიც გახლავთ ემზარ კვიტაიშვილი, პოეტ-აკადემიკოსის პოეზია ვრცლადაა წარმოდგენილი. **„დიდი მზის ჭაშნაგირი“ უწოდა რევაზ ინანიშვილმა გიორგი ლეონიძეს და ამ სიტყვებით საუკეთესოდ გამოხატა მისი პოეზიის არსი. მზის თაყვანება მის „წილობასაც“ ნიშნავდა და იმ საოცარ სინათლესაც, რომელსაც მისი პოეზია უშურველად აფრქვევს“** — წერს შემდგენელი ამ პატარა წიგნის შესავალში და თავიდანვე გადაჰყავს მკითხველი იმ დიდ სამყაროში, რომელსაც გოგლას ღვთივნაკურთხი პოეზია ჰქვია.

* * *

„სად იწყება გოდერძი ჩოხელი, როგორც არაორდინარული პიროვნება, მწერალი და კინორეჟისორი“? — ასეთ კითხვას სვამს ბატონი **ამირან არაბული** შესანიშნავი კრებულის წინასიტყვაობაში, რომელიც „ნამში სამყარო ჩანსო“... ასე დაუსათაურებია და თავადვე სცემს ამ კითხვას პასუხს — **„რასაკვირველია, თავის სიყმაწვილეში. კიდევ? ჩოხსა და ბურსაჭირის უმშვენიერეს ხეობაში, რომელიც მისტიკური იდუმალებითაც არის მოცული, გაჭექილი და, იმავდროულად, საგრძნობი სინამდვილის ტრივიალური სულისკვეთებითაც“**. კიდევ? კიდევ ამაყი მთებიდან, მთებში მოწანწკარე შემოქმედის სულივით სუფთა და თავანკარა ნაკადულებიდან, ჩიტის ბუდესავით მთაში მიყუჟული პაწაწკინტელა სოფლებიდან, სამკალ სათიბიდან, წინაპრების საფლავებიდან და თანამედროვეთა ცხოვრებიდან. დიდი შემოქმედი გახლდათ გოდერძი ჩოხელი. თავისი გმირებივით მოუსვენარი, ფილოსოფიური და მართალი ცხოვრებით განვლო მისთვის ხანმოკლე წუთისოფელი. სევდა-იმედიანი ლექსებიც დაგვიტოვა და შესანიშნავი კინოსცენარებიც, უფრო მეტად მისივე რეჟისორობით გადაღებული საკუთარი ქვეყნის ყოფა... ფილმები, რომლებსაც საოცარი ფილოსოფიურ-მისტიკურ სამყაროში გადავყავართ.

ეს კრებული შესანიშნავად გაუფორმებია მხატვარ **ბერდია არაბულს**.

ორივე მინიატიურული წიგნის მთავარი რედაქტორი გახლავთ ქალბატონი **ლია ნადარეიშვილი**.

მამუკა ვაშაკიძე

„გაიცანი საქართველო“ - პრესტური იმერეთში

ქუთაისისა და მისი შემოგარენის ტურისტული პოტენციალის გასაცნობად სხვადასხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლებისთვის პრესტური მოეწყო. ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, კამპანია „გაიცანი საქართველოს“ ფარგლებში სხვადასხვა ტელეკომპანიებისა და გამოცემების ჟურნალისტებისა და ოპერატორებისთვის იმერეთში ორდღიანი ტური გაიმართა.

პრესტურში მედიასაშუალებების 30-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. ტურის პირველ დღეს ჟურნალისტებმა და ოპერატორებმა ქუთაისის შემოგარენში ბაგრატი, გელათი, მოწამეთა დაათვალიერეს, ასევე ეწვივნენ ზ.ფალიაშვილის მუზეუმს და ოქროს ჩარდახს, მოინახულეს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი. მეორე დღეს მედიის წარმომადგენლებმა სათაფლიის ნაკრძალი და ოკაცეს კანიონი მოინახულეს.

შიდა ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ კამპანია „გაიცანი საქართველო“ 2015 წელს დაიწყო. პროექტის მიზანია საქართველოს ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა და შიდა ტურიზმის პოპულარიზაცია.

ჩვენ ასეთი აფხაზეთი მოგვწონს – ხმაურიანი ქარხნებისა და ქალაქების გარეშე

გავლენიანი რუსული გამოცემა „КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА“ ოკუპირებულ აფხაზეთში ვიზიტით მყოფი ტურისტის ალექსანდრა ლუკიანოვას სტატიას აძვეყნებს.

მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, სამარაში და რუსეთის კიდევ რვა ქალაქში გაგანია ფეხბურთის მუნდიალია. მსოფლიო ჩემპიონატს სოჭშიც კი ვერ დაემალები. რა უნდა ქნათ, თუ თქვენ გულშემატკივარი არ ხართ და გინდათ, რომ ქალაქურ ცხოვრებას და საფეხბურთო ვნებათაღელვას დაემალოთ? უნდა წახვიდეთ ზღვაზე ან მთებში, ხმაურიან სასტუმროებისგან მოშორებით – იქ, სადაც წყლის დალევას პირდაპირ მთის წყაროებიდან შეძლებთ, ხოლო მწიფე ხილს – გზის პირას საკუთარი ხელით მოკრეფთ.

სასაზღვრო ანეკდოტი

მატარებლით ორდღიან ჯაყჯაყს თვითმფრინავი ვარჩიე: სოჭამდე ფრენას ორი საათი და ოცი წუთი სჭირდება. აეროპორტში ადგილობრივი მცხოვრებლები გულღიად გვხვდებიან. ვჯდებით ავტომანქანაში და მივდივართ აფხაზეთისკენ. და ამ დროს გზაზე თითქმის კილომეტრიან „საცობში“ ვხვდებით. წინ რუსეთის სასაზღვრო პოსტი მოჩანს.

– რუსეთიდან ჩამოსულ მოქალაქეებს რუსულ პასპორტებს უმოწმებენ.. იგივეს აკეთებენ აფხაზების მიმართ, რომლებთაც ასევე რუსული პასპორტები აქვთ... ანეკდოტია, აბა რა არის? – „გვამხნევებს“ მძღოლი, მაგრამ საათნახევარი რომ რიგში დგახარ, კი არ „მხნევდები“, უფრო ღიზიანდები.

როგორც იქნა, საზღვრამდე მივაღწიეთ. მესაზღვრეები მკაცრად მეკითხებიან:

– სამარაში დაიბადეთ და გაიზარდეთ? რა გვარია ბებიათქვენი? რა მიგაქვთ?

– არაფერი არ მიმაქვს, საზაფხულო სარაფანებისა და წიგნების გარდა. უკან კი ღვინოს წავიღებ, – ვპასუხობ. იქვე მაფრთხილებენ: „მხოლოდ სამი ლიტრის უფლება გაქვთ“. და ეს იმ დროს, როცა აფხაზეთის, პრაქტიკულად, ყველა მცხოვრები რუსეთის მოქალაქეა, ხოლო დანარჩენი – რუსი ტურისტები. ვისმენ ოხვრიან ნათქვამს: „ეჰ, საბჭოთა პერიოდში სად იყო საზღვარი!“ და პირველად ვეთანხმები ადგილობრივებს – რა საჭიროა მართლაც ეს ბარიერები? აქ ხომ ყველა ჩვენიანია.

აფხაზურ სასაზღვრო პუნქტზე კი რამდენიმე წუთში გადავდივართ – აქ ყველა ღიმილით გვხვდება: მოდი, ძვირფასო, გელოდებით...

შვიდი მიზეზი აფხაზეთში დასარჩენად

საზღვარზე საათნახევრიანი ლოდინის შემდეგ გაგრის რაიონში შევდივართ. გვერდს ვუქცევთ ბიჭვინთის „ოქროს ქვიშებს“, ლიხნს, ახალ ათონს და აფხაზეთის დედაქალაქისაკენ მივემართებით. მანძილის გავლას გაჩერებებით ორი საათი მოვუნდით.

ყველაზე მეტად, რაც ხმაურიანი სოჭიდან აფხაზეთში ჩამომსვლელს აოცებს - ეს სიჩუმე და სიმშვიდეა. მივდივართ ზღვის ნაპირისაკენ...

არასოდეს ბედი არ მიღიმოდა კრასნოდარის მხარისა და ყირიმის კურორტებზე - განმარტოების თვალსაზრისით. ყველგან ტურისტები დადიოდნენ და, რომ იტყვიან ხოლმე, თვალში „მაზოლებს“ მიჩენდნენ. ყირიმში ახლა არ ვიცი, როგორი სიტუაციაა, მაგრამ როცა ის უკრაინის შემადგენლობაში შედიოდა, გურზუფის პლაჟზე და მის ახლომახლო თავისუფალ ადგილს ვერ იპოვიდი. აქ კიდევ კილომეტრიან პლაჟზე უამრავი ცარიელი ადგილია...

სურვილი გიჩნდება, რომ აფხაზეთში სამუდამოდ დარჩე.

ჩამოვთვლი შვიდ მიზეზს, თუ რატომ...

პირველი – სახელგანთქმული საბჭოთა შავიზღვისპირა კურორტი ბიჭვინთა ყველაზე სუფთა ზღვის წყლით მთელ აფხაზეთში - გამჭვირვალობა 8-10 მეტრს აღწევს. შეიძლება ითქვას, ეს დაივერების ოცნებაა! ჩვენ ბიჭვინთაში საკურორტო სეზონის დაწყების დროს შევიარეთ – დაივერები არ ჩანან, ტურისტები ძალიან ცოტა. სიჩუმე და სიმშვიდე. ტყუილად კი არ დადიოდა აქ ლეონიდ ბრეჟნევი ნევროზის სამკურნალოდ.

მეორე – აქ ყველაფერს მკურნალობენ. გაგრაში ბალნეოლოგიური სამკურნალო წყლებია – გოგირდწყალბადიანი წყალი გულისა და სისხლძარღვთა დაავადებებს კურნავს, ნერვების, კანის და სხვა მრავალ ავადმყოფობებს. ტურისტებისთვის რამდენიმე სანატორიუმი მუშაობს. სასტუმრო „აფხაზეთის“ ახლოს შეიძლება აქვაპარკშიც შეიაროთ.

მესამე – რიწის ტბა აფხაზეთის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა. ძმები: სამი მთა – აგეფსთა, აცეთუყი და პშეხიშხა – თავიანთ ულამაზეს დას - რიწას დარაჯობენ, რომელიც ყაჩაღებს ტბაში ემალება. ლეგენდა საკმაოდ დრამატულია, მაგრამ რიწას რომ ნახავთ, სიმშვიდე გეუფლებათ. ტბა უამრავ სტუმარს იზიდავს. აქ იოსებ სტალინიც ისვენებდა ხოლმე. აღდგენილია მისი აგარაკი ნაპირზე, რომელსაც 15 წუთში დაათვალიერებთ: ძალიან სპარტანულადაა მოწყობილი, თუმცა მასში რამდენიმე საძინებელი და სააბაზანო ოთახია.

მეოთხე – ახალი ათონი. რელიგიური ტურისტები მიდიან ახალ ათონში, სოხუმიდან 21 კმ-ის მოშორებით, წმინდა ადგილის მოსალოცად და სანატორიუმებში ჯანმრთელობის გასაკაჟებლად. 1975 წლიდან ტურისტებისთვის გახსნილია ახალი ათონის მღვიმეც – ერთ-ერთი დიდი კარსტული გამოქვაბული მსოფლიოში, რომლის მოცულობა ერთ მილიონ კუბურ მეტრზე მეტია.

მეხუთე – აფხაზეთის დედაქალაქი სოხუმი. საბანაო სეზონი აქ მაისის შუა რიცხვებში იწყება და ოქტომბრის ბოლომდე გრძელდება. ქალაქის ყველაზე არომატული ადგილია ბოტანიკური ბაღი, რომელიც სავსეა სუბტროპიკული მცენარეებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. სოხუმის მხიარული ადგილია მაიმუნთსაშენი – მაკაკებისა და გამადრილების სამეფო. ოფიციალურად ამ ადგილს აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ეწოდება, რომელიც 1927 წელს შეიქმნა მაიმუნების შესწავლის მიზნით. აქაა მსოფლიოში ერთადერთი მაიმუნის ძეგლიც. სოხუმს თავისი ჰაიდპარკიც აქვს: ზღვის ნაპირზე, კვიპაროსების ქვეშ მამაკაცები სხედან, ჭადრაკს და ნარდს თამაშობენ, თან პოლიტიკაზე და ეკონომიკაზე კამათობენ. ადგილობრივები ამ ადგილს „ბრეხალოვკას“ ეძახიან: ამჟამად სოხუმის „ბრეხალოვკაზე“ რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობის „გადატვირთვაზე“ ლაპარაკობენ. დასამალი არაა, რომ ეკონომიკურად რუსეთის გარეშე აფხაზეთს ცუდი დღე დაადგება.

მეექვსე – აფხაზთა სტუმართმოყვარეობა და თავაზიანობა ის მთავარი მიზეზია, რის გამოც ამ ქვეყანას უნდა ეწვიოთ, თანაც აფხაზები სტუმართმოყვარეობას იჩენენ უცნობი ადამიანების მიმართაც და სახლშიც ეპატიჟებიან. აფხაზთა 99 სადღეგრძელოს მოსმენა ძნელია, მაგრამ აქ არავინ არსად არ ჩქარობს. ღვინო და ხილი ყველას ეყოფა.

მეშვიდე – აფხაზური საჭმელები გასაოცარია. აქ ყველას უყვარს კერძების მომზადება აჯიკით და სხვა სანელებლებით... მწვადი, კალმახი, მთის თაფლი და ღვინო, რომელიც ყოველ ოჯახში საკუთარი წარმოებისაა.

და ბოლოს - ერთი ნვეთი კუპრიც...

მშვენიერი აფხაზეთი რამდენიმე საზღვრის მძევალი აღმოჩნდა: აქვეა საქართველო, რუსეთი, თურქეთი. აფხაზეთი მდიდარია, მაგრამ უკვე მეოთხედი საუკუნეა დღემდე ვერ გამოსულა ეკონომიკური კრიზისიდან. სოხუმის ცენტრში ახლაც დგას ომის დროს დამწვარი შენობა, ხოლო ოდესღაც ლამაზი სანატორიუმები თანდათან ინგრევა და ნადგურდება. დაუმთავრებელი შენობები კი ბალახით იმოსება. ადგილობრივი მეწარმეები თითქოსდა ცდილობენ ვაჭრობის განვითარებას, მაგრამ პროცესი ძალიან ჭიანურდება. საით უნდა წავიდეთ? რომელ მხარეს არის ჩვენი გადარჩენა? ამ კითხვებზე ცდილობენ, პასუხი იპოვონ „ბრეხალოვკაზე“ მყოფი ჩვეულებრივი მოქალაქეები, ამაზე ლაპარაკობენ ჩინოვნიკებიც სამთავრობო კაბინეტებში... მაგრამ ეს სხვა თემაა. ჯერჯერობით ჩვენ, ტურისტებს, ასეთი აფხაზეთი მოგვწონს: ხმაურიანი ქარხნებისა და ქალაქების გარეშე, სუფთა წყაროებით და ფეიჰოას ყვავილების არომატით გაჯერებული ჰაერით.

„ЛЗ.КГ“(რუსეთი)
მოგვაწოდა „ნიუპრესმა“

ქართული ღვინოების გემო ისეთი განუმეორებელია, რომ მსგავსს სხვაგან ვერსად ნახავთ

ავსტრალიის **დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ პერტის გაზეთ The West Australian-ში გამოქვეყნდა სტატია საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ.** მასში ასახულია ჩვენი ქვეყნის ძირითადი მონაცემები, რომლებმაც შეიძლება ავსტრალიელი მოგზაურობის მოყვარულები დააინტერესოს.

„გასტრონომიული და ღვინის ტურიზმის მოყვარულთათვის საქართველო შეიძლება სიურპრიზი და „წმინდა გრაალი“ (სანუკვარი და საოცნებო რამ) აღმოჩნდეს. იქ ისეთი სრულიად გამორჩეული, კულტურული ეროვნული სამზარეულოა, სადაც საჭმელები იქვე მოყვანილი ბუნებრივი და სრულიად სუფთა შემადგენლებისგან მზადდება. საქართველოში არის ღვინოები, რომელთა გემო ისეთი განუმეორებელია, რომ სხვაგან ვერსად წააწყდებით: ქართველები ღვინოს უკვე 7 ათასი წელია, ამზადებენ!

საქართველოში სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს. ამ ქვეყანაში ძალიან ბევრი მიმზიდველი, იდუმალი ადგილია, რომლებიც შეიძლება მოინახულოთ და მათი მშვენიერი პეიზაჟებით დატკბეთ. საქართველოს ღირსშესანიშნაობების დათვალიერებისას უმჯობესია, მცირე ჯგუფებად გაერთიანდეთ, რადგან იქ მოსახლეობა უცხოელებთან კონტაქტისას ძირითათად რუსულ ენაზე ლაპარაკობს. ცხადია, იციან ინგლისური ენაც, მაგრამ შედარებით ნაკლებად. ყველა შემთხვევაში, თბილისში ყოფნისას ორიენტაციაში იოლად გაერკვევით და არ დაიკარგებით.

საქართველო კავკასიაში მდებარეობს. მას ჩრდილოეთიდან რუსეთი ესაზღვრება, სამხრეთიდან – თურქეთი და სომხეთი, აღმოსავლეთის მხრიდან კი – აზერბაიჯანი.

საქართველოში ადვილად შეიძლება ჩასვლა: პერტიდან არაბულ ემირატებში, იქიდან კი დუბაი-თბილისის პირდაპირი ავიარეისით. ადგილობრივი ავიაკომპანია Fly Dubai-ს სამგზავრო ლაინერები საქართველოს დედაქალაქში კვირაში 14-ჯერ დაფრინავენ და მანძილს სამ საათსა და ოც წუთში ფარავენ. მოგზაურობა სრულიად უსაფრთხოდ შეგიძლიათ.

საქართველოში ზაფხულში საკმაოდ ცხელა, ზამთარში კი ცივა. შესაბამისად, ყველაზე კომფორტული დრო სამოგზაუროდ მაისი, ივნისი და სექტემბერია“-წერს გამოცემა.

„The West Australian“ (ავსტრალია)

ამერიკელები მთვარეზე არც არასდროს დამსხდარან, სცენა ჰოლივუდში დაიდგა;

ვაქცინაცია ჩვენს შვილებს სხვადასხვა უკურნებელი სენით აავადებს;

კლიმატური ცვლილებები ფანდია, ის მეცნიერებმა კვლევების დასაფინანსებლად მოიგონეს;

ლუგარის ლაბორატორია ქართველებს ექსპერიმენტული ვირუსებით აინფიცირებს;

ნასა რამდენიმე ათეული წელიწადია, უცხოპლანეტელებსა და მათ ხომალდს გვიმალავს;

ობამამ სენდი ჰუკის სკოლაში მომხდარი მასობრივი მკვლელობისთვის მსახიობები დაიქირავა, რომ იარაღზე კონტროლი გაემკაცრებინა;

შიდსის ვირუსი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (ზოგი ვერსიით — ამერიკის დაზვერვამ) დედამიწაზე მოსახლეობის შესამცირებლად შექმნა;

ნაცისტების მიერ მეორე მსოფლიო ომში 6 მილიონი ებრაელის ამოწყვეტა ებრაელთა ჰეგემონიისთვის გამოგონილი ტყუილია;

ყველამ იცის, რომ მსოფლიოს მასონები მართავენ;

და ბოლოს, ყველაზე საინტერესო: იცოდით, რომ დედამიწა სინამდვილეში ბრტყელია?

მსოფლიოს მასონები მართავენ?!

ვის უფრო სჯერა შეთქმულების თეორიების?

აქედან ერთი, ან რამდენიმე ზღაპრული თეორია აუცილებლად გაგონილი გექნებათ. შეიძლება, ბევრი სხვაც იცით, მათი რაოდენობა ხომ მიმდინარე მოვლენებთან ერთად, განუსაზღვრელად იზრდება. თანაც, ეს მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანას ახასიათებს.

ადამიანებს თითქმის ყველგან აქვთ მიდრეკილება არასასურველი მოვლენა და სიტუაცია, ხშირად უბრალოდ უცხო, უკონტროლო რამ, მარტივად ახსნან მთავრობის, ან რომელიმე სხვა გავლენიანი ჯგუფის უკანონო ქმედებით, ძლიერი ადამიანების საიდუმლო შეთქმულებით. შეთქმულების თეორიები განსაკუთრებით პოპულარულია ტოტალიტარული და პოსტტოტალიტარული რეჟიმის ქვეყნებში, სადაც ხელისუფლება ტყუილს და პროპაგანდას ძალაუფლების შენარჩუნებისთვის აქტიურად მიმართავს, ან მიმართავდა. შესაბამისად, ადამიანებს ნაკლებად სჯერათ სხვადასხვა ტიპის გავლენის მქონე ჯგუფების და გამუდმებით ეძებენ ფარულ ზრახვებს მათი ქმედების, ან მიღებული შედეგების მიღმა.

პენსილვანიის შტატში მდებარე ლიჰაის უნივერსიტეტის მეცნიერები დაინტერესდნენ, გაერკვიათ, თუ ადამიანთა რომელ ჯგუფს უფრო სჯერა შეთქმულების თეორიების. ახალ ნაშრომში, რომელიც მაისში გამოქვეყნდა, მკვლევარები ყურადღებას ორ ძირითად ფაქტორზე ამახვილებენ.

თურმე, შეთქმულების თეორიების უფრო მეტად სჯერა ადამიანთა ორ ჯგუფს. პირველში ერთიანდებიან ისინი, ვინც გაუცნობიერებლად ცოტა დამფრთხალია, ან შეშინებული მიმდინარე სოციალური და კულტურული ცვლილებებით. მეორეში კი არიან ადამიანები, რომლებიც გადაჭარბებულად აფასებენ საკუთარ ცოდნას, ექსპერტიზის დონეს პოლიტიკურ საკითხებში.

ჯოზეფ ვიტროილის, კვლევის ერთ-ერთი ავტორის თქმით, დღევანდელ საზოგადოებაში, სადაც ძირეული სოციალური ცვლილებები მიმდინარეობს, გლობალიზაციასთან ერთად, თანდათან იზრდება მოსახლეობის „კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნება, ფართოვდება წარსულში მარგინალიზებული ჯგუფების კოლექტიური აქტივობა. ეს ჯგუფები სერიოზულ გამოწვევას უქმნიან სტატუს კვოს და საკანონმდებლო, თუ პოლიტიკურ დისკურსში ცვლილებების დანერგვას ესწრაფვიან“.



ეს ყოველივე საზოგადოებას გარკვეულ უხერხულობას უქმნის. „ხალხის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც წარმატებით სარგებლობდნენ არსებული სოციალური და პოლიტიკური მოწყობით, მოვლენების ამგვარ განვითარებას და მომხდარ ცვლილებებს, საფრთხედ აღიქვამენ და ეს ფაქტორი მას შეთქმულების თეორიების დაჯერებისკენ და მხარდაჭერისკენ უბიძგებს“, — აღნიშნავს ჯოზეფ ვიტროილი.

ასეთ დროს ადამიანებს უჩნდებათ შეგრძნება, რომ „მიმდინარეობს შეტევა საზოგადოების ფუნდამენტურ, მის განმსაზღვრელ ღირებულებებზე“. ვიტროილის თქმით, მიმდინარე სოციალური და კულტურული ცვლილებების შიში, ერთნაირად ძლიერი განმსაზღვრელი ფაქტორია როგორც იდეოლოგიური, ასევე იდეოლოგიისგან თავისუფალი შეთქმულების თეორიებისა.

ნაშრომის მეორე ავტორი ჯესიკა მარში ამბობს, რომ ის ადამიანი, ვინც ზედმეტად აფასებს საკუთარ ცოდნას პოლიტიკაში და თავი პოლიტიკური მოვლენების ექსპერტად წარმოუდგენია, ნაკლებად ინტერესდება ფაქტების გადამოწმებით და ანალიზით. მას ჰგონია, რომ უკვე იცის, რაც მოხდა, ან ეთანხმება იმ მზა ანალიზს, რომელიც მის წარმოსახვას ემთხვევა. ასეთი ადამიანი გაცილებით იოლად იჯერებს, რომ წამყვან მოვლენებში მთავარ როლს ფარული აქტორები ასრულებენ. მათ წარმოსახვაში შემთხვევით არაფერი ხდება, თითქმის ყველაფერს იატაკქვეშა ჯგუფები მართავენ, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ მსოფლიოს მოვლენებზე, პოლიტიკოსთა ქმედებაზე და მიღებულ შედეგებზე.

კვლევის ავტორები მკითხველს მოუწოდებენ, არ დაეყრდნონ მხოლოდ საკუთარ შეხედულებებსა და სტერეოტიპებს, არამედ ეცადონ, მოძებნონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული აზრები. ამასთან, შეეცადონ, მრავალფეროვან წყაროებს გაეცნონ და ნაკლებად ისარგებლონ ცალმხრივად იდეოლოგიზებული და პოლარიზებული საინფორმაციო საშუალებებით.

„გამოიწვიეთ საკუთარი თავი და გაეცანით ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ ემთხვევა თქვენს რწმენას, დასკვნებს და შეხედულებებს“, გახსოვდეთ, რომ კომპლექსური მოვლენების გადაჭარბებული, ან ზედმეტად მარტივი ახსნა, შეიძლება, არააკურატული იყოს, თუნდაც ეს თქვენს ინტუიციასთან თანხვედრაში მოდიოდეს“, — აღნიშნავს ჯოზეფ ვიტროილი.

ნაშრომის დაწვრილებით გაცნობა შესაძლებელია სამეცნიერო გამოცემაში „სოციალური ფსიქოლოგიის ევროპული ჟურნალი“ (European Journal of Social Psychology), 12 მაისის ნომერში. მისი სახელწოდებაა „ღრმა ანალიზის ილუზია და შეთქმულების თეორიების მხარდაჭერა“.

WWW.AMERIKISKHMA

ბრიტანეთში მარიხუანის ლეგალიზაციაზე ალაპარაკდნენ...

დიდი ბრიტანეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ვილიამ ჰეიგმა მთავრობას მარიხუანის სრული ლეგალიზება მოსთხოვა. ასეთი განცხადება ჰეიგმა 12 წლის ეპილეფსიით დაავადებულ ბილი კოლდვენის გამო დაწყებული პოლიტიკური სკანდალის ფონზე გააკეთა. გასულ კვირას ბრიტანეთის სამართალდამცავებმა მოზარდის მშობლებისგან კანაფის ზეთის კონფისკაცია მოახდინეს. ზეთის გამოყენება მოზარდს ექიმებმა ურჩიეს. მოზარდი მძიმე შეტევების გამო საავადმყოფოში მოხვდა. ისტორია გახმაურდა და სკანდალი გამოიწვია, რის შემდეგაც შინაგან საქმეთა მინისტრმა ზეთის გამოყენების სპეციალური ნებართვა მისცა კოლდვენის მშობლებს. „კანაფთან ბრძოლაში მთლიანად მარცხი განიცადეთ, ვინც განსხვავებულად ფიქრობთ, სცდებით, პოლიციისათვის საბრძოლველად ორდერების გაცემა მოძველებული პრაქტიკაა, ეს ომი დასრულებულია“, — განაცხადა ჰეიგმა.

კანადამ კი მარიხუანის ლეგალიზება მოახდინა

კანადის პარლამენტის ქვედა პალატამ მარიხუანის ლეგალიზების შესახებ კანონპროექტს მხარი დაუჭირა. პარლამენტში კანონპროექტის მომხრე 205 დეპუტატი იყო, წინააღმდეგი — 82. ამის შემდეგ კანონპროექტს პარლამენტის ზედა პალატაში განიხილავენ, რომელსაც ქვედა პალატის გადაწყვეტილების გაუქმება არ შეუძლია, მხოლოდ დროში გადადების უფლება აქვს. პარლამენტში კანონპროექტის მიღების შემდეგ დოკუმენტი კანადის გენერალ გუბერნატორს გადაეცემა. კანონის თანახმად 18 წლის მოქალაქეს უფლება ეძლევა 1 გრამი მარიხუანის ყიდვის. მოქალაქეს შეუძლია, შეინახოს 30 გრამამდე მარიხუანა პირადი მოხმარებისათვის. სავარაუდოდ, ლეგალიზაცია სექტემბრიდან ამოქმედდება.

ბრიტანეთის სამეფო ოჯახში ერთნაირსქესიანთა ქორწილი გაიმართება

დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახში ისტორიაში პირველად ერთნაირსქესიანი ქორწილი გაიმართება. დედოფალი ელიზავეტა II-ის ახლო ნათესავი ივან მაუნთბატენი თავის რჩეულთან ჯეიმს კოილთან დაქორწინდება. ორი წლის წინათ 55 წლის მაუნთბატენმა ჰომოსექსუალური ორიენტაცია აღიარა. ლორდისთვის ეს მეორე ქორწინება იქნება, მან 16 წელი პენი მაუნთბატენთან ერთად იცხოვრა და მათ 3 ქალიშვილი ჰყავთ. წყვილი 2011 წელს განქორწინდა. ლორდ ივან მაუნთბატენი მამის მხრიდან რუსეთის იმპერატორის ნიკოლაი პირველისა და დედის მხრიდან ალექსანდრე პუშკინის შთამომავალია.

◎ წარდგენა

ქართულ ჭიდაობას, შესაძლოა, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭოს და იუნესკოს ნუსხაში შევიდეს

როგორც კულტურისა და სპორტის მინისტრობის კანდიდატმა მიხეილ გიორგაძემ პარლამენტში საკომიტეტო მოსმენაზე განაცხადა, იმედი აქვს, შესაბამის ნომინაციაში ქართული ჭიდაობის წარდგენა წარმატებული იქნება.

„არ შემიძლია, თავმდაბლობის გარეშე არ აღვნიშნო, ჩვენი წარმატებული ურთიერთობის შესახებ იუნესკოსთან.

მოგეხსენებათ, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაბრუნების საკითხი ძალიან ღირსეულად გადაწყდა. არაერთი ახალი ინიციატივა გვაქვს არამატერიალური მსოფლიო მემკვიდრეობის მიმართულებით. არც ისე დიდი ხნის წინათ, დარწმუნებული ვარ, გემახსოვრებათ ქართული ანბანის წარმატებული შემთხვევა ამ მიმართულებით. წლის ბოლოს ასევე დიდი იმედი მაქვს, რომ წარმატებული ნომინაცია იქნება ქართული ჭიდაობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებისა და იუნესკოს შესაბამის ნუსხაში შეტანისა“, — განაცხადა მიხეილ გიორგაძემ.

◎ ფარიკაობა

ერთი ჩხვლეტის ფასი

ერთი წლის წინათ საქართველოს დედაქალაქმა მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. მაშინ მოხმალავე თეოდორა კახიანმა ქართული სპორტის მატიანეში პირველმა მოიპოვა ოქროს მედალი, ახალგაზრდებში ევროპის სამგზის ჩემპიონმა და რიოს ოლიმპიადის მონაწილე სანდრო ბაზაძემ მე-3 ადგილი დაიკავა, ხოლო მოხმალავე ვაჟთა გუნდი 8 საუკეთესოში მოხვდა.

ახლა ჩვენი მოფარიკავეები სერბულ ნოვი სადში იმყოფებიან კონტინენტის პირველობაზე. ვიზასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ამერიკიდან ვერ ჩამოვიდა კახიანი, რომელმაც უბრძოლველად დათმო ტიტული. სამაგიეროდ, სანდრო ბაზაძემ კვლავ გაახარა ქომაგები — შარშანდელი შედეგი გაიმეორა. არადა, ახლოს იყო უკეთეს მაჩვენებელთან — წარმატების მისაღწევად ერთი ჩხვლეტა დააკლდა.



სანდრომ ჯგუფში ხუთი მეტოქე დაჯაბნა — სერბი ნიკოლა იოვანოვიჩი (5:0), ბრიტანელი ჯეიმს ჰონეიბონი (5:2), ბელარუსი კირილ კირპიჩოუ (5:1), რუმინელი ჯორჯ დრაგომირი (5:0), პოლონელი კაროლ ლადემანი (5:0) და მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმო (2:5) გერმანელ მაქს ჰარტუნგთან. ალემანი მსოფლიოს ჩემპიონატების ერთი ოქროს და ორი ბრინჯაოს მედლის მფლობელია. ევროპის ჩემპიონატზე შარშან თბილისში მან ნახევარფინალში სანდრო ბაზაძეს სძლია და მერე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა, მანამდე კი კონტინენტის პირველობებზე ერთი ვერცხლი და ოთხი ბრინჯაო ჰქონდა მოპოვებული. ვინ იფიქრებდა, რომ ჯგუფური ეტაპის მერე ფორტუნა გერმანელისა და ქართველის გზებს, შარშანდლის მსგავსად, ისევ ნახევარფინალში გადაკვეთდა. მანამდე სანდრომ პლეი-ოფში ბოლად აპიტი (საფრანგეთი, 15:10), ტიბერიუ დოლნეჩეანუ (რუმინეთი, 15:12) და იტალიელი მსოფლიოს ჩემპიონი და ბრინჯაოს პრიზიორი, კონტინენტის პირველობების ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს (შარშან თბილისში) მფლობელი ლუკა კურატოლი დაამარცხა (15:14) და ნახევარფინალში გავიდა, სადაც ისევ ჰარტუნგს დაუპირისპირდა. ორთაბრძოლა დაძაბულად და დრამატულად წარიმართა. პაექრობის ბოლოს ბაზაძე ორი ქულით დაწინაურდა - 14:12 და მორიგ წარმატებამდე ქულაღა აკლდა, მაგრამ ალემანმა ჩვენებურს ზედიზედ სამი ჩხვლეტა მიაყენა, 15:14 გაიმარჯვა და ფინალში გავიდა, სადაც რუს კამილ იბრაგიმოვსაც აჯობა (15:12) და ჩემპიონობა შეინარჩუნა. ქართველ მოფარიკავეს ბრინჯაოს მედალი ხვდა.

ვაჟა დანელია.

მარცხნიდან: კამილ იბრაგიმოვი (რუსეთი), მაქს ჰარტუნგი (გერმანია), დმიტრი დანილენკო (რუსეთი), სანდრო ბაზაძე.

◎ მუნდიალი 2018

მოთელვა დასრულდა

მსოფლიოს XXI საფეხბურთო ჩემპიონატის ჯგუფური რაუნდის პირველი ტური დასრულდა, მაგრამ ჯერაც ძნელი გამოსაცნობი რჩება, რომელი გრანდები უნდა მივიჩნიოთ რუსული ფორუმის მთავარ ფავორიტებად.

გუშინ უკვე ვწერდით, რომ სტარტზე თვით სამხრეთამერიკულმა ბობოლებმა და, განსაკუთრებით, მოქმედმა გვირგვინოსანმა — გერმანიამ გააწბილეს თანამემამულენი, ხოლო საფრანგეთმა და ურუგვაიმ ბოლო წუთებზე მოიპოეს სამადლო გამარჯვებები. იგივე შეიძლება ითქვას ფეხბურთის სამშობლოს ქვეშევრდომებზე, რომლებსაც მხსნელად გუნდის კაპიტანი ჰარი კეინი მოევლინათ.

სწორედ „ტოტენჰემის“ ბომბარდირის დამსახურებაა, ტუნისმა მორიგი სენსაცია რომ ვერ გამოაცხო — 2:1, თანაც გადამწყვეტი ბურთი მსაჯის მიერ დამატებულ დროში გაიტანა. არადა, მატჩის დასაწყისში კაცი ვერ იფიქრებდა, თუ საქმე აქამდე მივიდოდა — ინგლისელები რამდენიმე გამოუყენებელი სახიფათო მომენტის შემდეგ უკვე მე-11 წუთზე მაინც დაწინაურდნენ, თანაც შესაცვლელი გახდა შეხვედრის პირველი წუთების გმირი, აფრიკელთა მხარამოვარდნილი მეკარე ჰასანი, რომელმაც მანამდე ორი მკვდარი ბურთი მოიგერია.

ერთი შეხედვით იოლად ჩაიჯიბა სამი ქულა ბელგიამ, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მან მხოლოდ შესვენების შემდეგ დააჩოქა უსუსტესი პანამა — 3:0 (მერტენსი, ლუკაკუ — 2), შვედეთმა კი სამკვიდრო-სასიცოცხლო

ბრძოლა მოუგო შვედეთს — 1:0 (გრანკვისტი, პენალტით). აღსანიშნავია, რომ ამ თამაშში მეტოქენი 43-ჯერ დაჯარიმდნენ და მსაჯს 8 (!) ყვითელი ბარათი დასტყუეს.

გუშინ: კოლუმბია — იაპონია 1:2

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

საქართველოს ეროვნული ნაკრების ღია ვარჯიში „დინამოს“ ბაზაზე

საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩებისთვის ემზადება. ილიას ზუროსის გაწვრთნილ ჩვენს გუნდს პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლო 2 საშინაო მატჩი დარჩა გასამართავი: 29 ივნისს — სერბეთთან და 2 ივლისს — ავსტრიასთან.

ზუროსმა ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში 22 კალათბურთელი შეიყვანა. 11 ივნისიდან იგი „დინამოს“ ბაზაზე 16 კალათბურთელით ვარჯიშობდა, ბოლოს კი გუნდს ლეგიონერები — გიორგი შერმადინი და გოგა ბითაძე შეუერთდნენ.

საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მოსამზადებლად 2 საკონტროლო შეხვედრას ჩეხეთის ნაკრებთან 22 და 23 ივნისის ბოლოს პრაღაში გამართავს. პირველ მატჩს ჩეხეთის ცენტრალური ტელევიზია უჩვენებს, ხოლო მეორე მატჩი დახურული ხასიათის იქნება.

ჩეხეთთან დაგეგმილ თამაშებს ილიას ზუროსი ძირითადად ახალგაზრდებისა და ახალი ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელის — თად მაკფადენის გამოსაცდელად და გუნდთან მათ შესათამაშებლად გამოიყენებს.

25 ივნისს თბილისში დაბრუნებულ საქართველოს ნაკრებს კიდევ 2 ლეგიონერი — თორნიკე შენგელია და მანუჩარ მარკოიშვილი შეუერთდებიან.

გუშინ, „დინამოს“ ბაზაზე გამართული ვარჯიშის წინ ნაკრების მოთამაშეებს მასმედიის წარმომადგენლები შეხვდნენ. კალათბურთელებს და მწვრთნელებს ჟურნალისტები გაესაუბრნენ.

ილიას ზუროსი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

— დიდი ხანი არაა, რაც გუნდი ერთად ვარჯიშობს. აქამდეც ვამბობდი, რომ მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპის ახალი სისტემა ძალიან ართულებს საქმეს და არ გვაქვს დრო სრულყოფილად სამუშაოდ.

— სასიამოვნოა, რომ გუნდში ბევრი ახალგაზრდაა. ისინი ნაკრებს ნელ-ნელა უშინაურდებიან და ჩეხეთთან მატჩებში მათი გამოცდის კარგი შანსი გვექნება. ახალგაზრდების გარდა გვყავს ახალი ნატურალიზებული ამერიკელი თად მაკფადენი, რომლისთვისაც სასარგებლო უნდა იყოს ჩეხეთთან შეხვედრები. სწორედ პრაღაში უნდა გადადგას მან პირველი ნაბიჯები გუნდთან ადაპტაციის საქმეში.

— ჩეხეთთან ვერ ითამაშებენ მანუჩარ მარკოიშვილი და თორნიკე შენგელია. ისინი გუნდს ჯერ ვერ შემოუერთდნენ, თუმცა, მათ უკვე იციან ჩემი სისტემა და დიდი იმედი მაქვს, სერბეთთან და ავსტრიასთან მატჩებში ღირსეულად ითამაშებენ.

— გვყავს დებიუტანტი სანდრო მამუკელაშვილი. იგი დიდი პოტენციალის მქონე ახალგაზრდაა და ბევრი მუშაობა სჭირდება, რათა კარგად შეისწავლოს, როგორ ვთამაშობთ, რას ვითხოვ. მინდა, ისიც აღვნიშნო, რომ თითოეული კალათბურთელი მონდომებულია, ბევრს ვარჯიშობს. მათი საქმისადმი მიდგომით კმაყოფილი ვარ, თუმცა, შესათამაშებლად დრო გვჭირდება.

— ალბათ, გესმით, რასაც ვგულისხმობ: როდესაც მანუჩარ მარკოიშვილი და თორნიკე შენგელია ჩამოვლენ, მოუწევთ რამდენიმე ისეთი კალათბურთელის გვერდით დადგომა, რომლებთანაც მანამდე არ უთამაშიათ.

— ახალ ამერიკელზე, თადეუს მაკფადენზე ვერაფერს ვიტყვი. მხოლოდ ვხედავ, რომ ვარჯიშებზე ბოლომდე იხარჯება, არ გვინახავს მისი თამაში საქართველოს ნაკრებში, ჩეხეთთან მატჩებისას კი მასაც ექნება გუნდთან შეთამაშების საშუალება და უკეთ დავინახავთ, ოფიციალურ მატჩებში რას უნდა ველოდეთ მაკფადენისგან.

თად მაკფადენი:

— რამდენიმე დღეა, რაც საქართველოს ნაკრებში ვვარჯიშობ და გუნდზე მხოლოდ კარგი შემიძლია ვთქვა. შესანიშნავი ახალგაზრდა მოთამაშეები გვყავს და მთლიანობაში — ძალიან კარგი გუნდი. ჩვენი მიზანი ორივე ოფიციალური შეხვედრის მოგება და შესარჩევი ციკლის მომდევნო ეტაპზე გასვლაა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ფედერერი ისევ პირველია

გუშინ ATP-ის ოფიციალურმა ვებგვერდმა განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი როჯერ ფედერერია, ხოლო რაფაელ ნადალმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ფედერერს პირველ ადგილზე გადასასვლელად შტუტგარტის ტურნირის ფინალში გასვლა სჭირდებოდა, როჯერმა კი გერმანიაში გაიმარჯვა.

ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა 87-ე ადგილიდან 85-ე პოზიციაზე გადაინაცვლა.

საუკეთესო ათეული

როჯერ ფედერერი	— 8920 ქულა,
რაფაელ ნადალი	— 8770 ქულა,
ალექსანდრ ზვერევი	— 5965 ქულა,
ხუან მარტინ დელ პოტრო	— 5080 ქულა,
გრიგორ დიმიტროვი	— 4870 ქულა,
მარინ ჩილიჩი	— 4860 ქულა,
დომინი ტიმი	— 3835 ქულა,
კევინ ანდერსონი	— 3635 ქულა,
დავიდ გოფინი	— 3110 ქულა,
ჯონ იზნერი	— 3070 ქულა,
... 85. ნიკოლოზ ბასილაშვილი	— 667 ქულა.

კობა კობახიძე

ნინო ზაქარიას ასული მაისურაძე

წინ მიდის ცხოვრება... წინ მიდის მედიცინა...

ჩვენი ქვეყნის მედიცინის ავანგარდში იყო და რჩება ჩვენი რეპროდუქტოლოგია, მაგრამ სავალალოდ მცირდება იმ პიროვნებათა რიცხვი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ჩვენს საქმეს. ძველი ჟორდანიას ინსტიტუტის თანამშრომლებს ისევ დაუდგა გლოვის დღეები; ცხოვრებიდან წავიდა მისი დამაარსებლის იოსებ ჟორდანიას ერთ-ერთი თანამებრძოლი, სამედიცინო იერარქიის ბრწყინვალე წარმომადგენელი, პროფესორი **ნინო მაისურაძე**.

იმედია, რომ უფალი დაუმკვიდრებს მას დამსახურებულ სასუფეველს.

პროფესორი ნინო მაისურაძე, ქართველი ფიზიოლოგი, პათოფიზიოლოგი, დაიბადა 1927 წლის 7 მარტს ქ. თბილისში, ცნობილი ქართველი ანატომის, პროფესორ ზაქარია მაისურაძის ოჯახში. ქ. თბილისის I საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თსსი-ს სამკურნალო ფაკულტეტზე (1944-1949). 1949-1952 წლებში იყო თსსი-ის ფიზიოლოგიის კათედრის ასპირანტი..

ქალბატონი ნინო მიეკუთვნება ქართული ტრადიციული მედიცინის იმ პლეადას, რომელმაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტობიდან და ასპირანტურიდან განვლო გზა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორობამდე, პროფესორობამდე. წლების მანძილზე იგი ჩამოყალიბდა პრინციპულ, მაღალკვალიფიციურ, ერუდირებულ სპეციალისტად, რომელმაც თეორიული მედიცინის — ფიზიოლოგიისა და პათოფიზიოლოგიის სკოლის ხაზით გააგრძელა პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობა რეპროდუქტოლოგიის დარგში.

1958-1963 წლებში ქ-ნი ნინო მაისურაძე იყო ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პათოფიზიოლოგიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და შემდგომ ამავე ლაბორატორიის ხელმძღვანელი. 2005-2014 წლებში იგი ხელმძღვანელობდა ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის საორგანიზაციო-მეთოდურ განყოფილებას.

ქ-მა ნ. მაისურაძემ 1997 წლიდან ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი საქართველოში რეპროდუქტოლოგიის დარგის დამოუკიდებელ სამედიცინო დისციპლინად დამკვიდრებას და სახელმწიფო რეესტრში (გრიფით — 14.00.50) შეტანას. 1998 წელს, პირველად პოსტსაბჭოთა სივრცეში, საქართველოს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტში ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა რეპროდუქტოლოგიის კათედრა, რომელსაც ჰქონდა ამ დარგში მდიდარი გამოცდილება, ტრადიციები და 1988 წლიდან იყო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სათანამშრომლო ცენტრი.

რეპროდუქტოლოგიის კათედრაზე კონკურსით დაკავებულ პროფესორის თანამდებობაზე, სასწავლო ნაწილის სტატუსში, პროფ. ნ. მაისურაძე უძღვებოდა სასწავლო პროცესს ექიმ-მსმენელებისთვის, რეზიდენტებისთვის პროგრამებისა და მოდულების შედგენას, კითხულობდა ლექციებს და ატარებდა სემინარებს რეპროდუქციული ფუნქციის ნეიროენდოკრინული რეგულაციის საკითხებზე ნორმასა და პათოლოგიების დროს, ხელმძღვანელობდა დისერტაციებს, მონაწილეობდა სამეცნიერო ფორუმებსა და კონფერენციებში.

1998 წლიდან იგი იყო სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალ „რეპროდუქტოლოგიის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე. ქალბატონი ნ. მაისურაძე იყო სახელმწიფო სერტიფიცირებისა და ლიცენზირების მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე „რეპროდუქტოლოგიაში“ და 2001 წლიდან რეპროდუქტოლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

პროფ. ნ. მაისურაძე არის 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 5 მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოს ავტორი.

არანაკლებ საყურადღებოა პროფ. ნინო მაისურაძის მოღვაწეობა ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის დახვეწა-დამუშავებაში. მისი მამის — პროფესორ ზაქარია მაისურაძის მიერ „საერთაშორისო ანატომიური ტერმინოლოგიის“ განმეორებითი გამოცემა მოხდა მისი ქალიშვილების — პროფესორების მერი და ნინო მაისურაძეების ინიციატივით.

პროფესორი ნინო მაისურაძე იყო შრომის ვეტერანი (1986), მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები. 1998 წელს იგი დააჯილდოეს ღირსების ორდენით.

რას იზამთ... ასეთია წუთისოფელი... იმედია, კიდევ მოვლენ „ტურფასა საბაღნაროსა“ პიროვნებები, რომლებიც ღირსეულ პატივისცემას მიაგებენ ქ-ნი ნინო მაისურაძის ნათელ ხსოვნას.

არჩილ ხომასურიძის
რეპროდუქტოლოგიის
ინსტიტუტის თანამშრომლები.

მარად დაუვიწყარი ზურაბ ხაჟალია

განგების ნებით წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ჭეშმარიტი მამულიშვილი, უნიჭიერესი იურისტი, პარტიული, სახელმწიფო, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკი, თადარიგის გენერალ-მაიორი **ზურაბ ჯემალის ძე ხაჟალია**. იგი დაიბადა და აღიზარდა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის ოჯახში. მამა ჯემალ ხაჟალია კეთილსინდისიერად და სამაგალითოდ ემსახურებოდა სამართალდამრღვევებთან ბრძოლის მეტად რთულ საქმეს და თავისი თაობის თვალსაჩინო პიროვნებას წარმოადგენდა. აი, ასეთ ოჯახში აღზრდილმა და ჩამოყალიბებულმა ზურაბ ხაჟალიამ არ უღალატა ოჯახის ტრადიციას და თავისი ხანმოკლე ცხოვრების გზაზე პარტიულ და სამართალდამცავ ორგანოებში კაცურად იმოღვაწა რიგითი გამომძიებლიდან საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების მოადგილეობამდე.

საგამოძიებო ორგანოებში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობისას იძიებდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებს.

იდგა რა კანონიერების სადარაჯოზე, თავის თანაგუნდელებთან ერთად ყოველთვის აღწევდა წარმატებებს. ზურაბ ხაჟალიამ მთელი თავისი შესაძლებლობები გამოავლინა იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების მოადგლედ და, საერთოდ, საგამომძიებლო სისტემაში მუშაობის დროს, რისთვისაც დაჯილდოებული იყო მრავალი მედლითა და ორდენით.

ყველაფერთან ერთად იყო კარგი მეოჯახე, თბილი, საოცრად მოკრძალებული, ერთგული და ყურადღებიანი მეგობარი.

მშვიდად იძინე მარადიულობაში, ჩვენო მეგობარო, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

ამინ!

ჯემალ გახოკიძე, გურამ გვეტაძე, დემურ მიქაძე, თემურ მურღულია, ვახტანგ გვარამია, გივი ლომინაძე, ზოთა ასათიანი, თენგიზ შუგლაძე, თეიმურაზ ლორია, ჯუმბერ სურმავა, ელგუჯა ჯამგურია, ალეკო მიქაბერიძე, გრიგოლ შონია, ილია შონია, გურამ ახალაია, ტიტე ლეფსაია, ლევან კენჭაძე.

თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები, ზაურ, ნელი ფხალაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამორჩეული პიროვნების

ზურაბ ჯემალის ძე ხაჟალიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ზაზა ბარათაშვილი

არსებობენ ადამიანები, რომლებსაც არ უყვართ თავის წარმოჩენა, ცდილობენ, არავინ შეაწუხონ, ყოველთვის ჩრდილში ყოფნას ამჯობინებენ, თავად კი მუდამ მზად არიან ყველას დასახმარებლად. ასეთი იყო **ზაზა ბარათაშვილი** — კეთილი, უანგარო, გულისხმიერი, თავაზიანი და თავმდაბალი. ზაზა სამი ათეული წელი იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი. იგი მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ას ერგასის დღე“, „ტიტუს ანდრონიკუსი“, მეფე ლირი“, „სამგვარი სიყვარული“, „იაკობის სახარება“, „მაკბეტი“, „ლამარა“, „ქალი-გველი“, „დარისპანის გასაჭირი“, „ნადირობის სეზონი“, „დაკანონებული უკანონობა“, „მალე მოვალ წვიმად“, „იულიუს კეისარი“ და სხვა. ზაზას თავისი წვლილი შეჰქონდა თითოეული სპექტაკლის წარმატებაში.

წავიდა ამქვეყნიდან ეს ჩუმი კაცი და დაგვიტოვა უდიდესი გულისტკივილი.

რუსთაველის თეატრი ღრმა მწუხარებით ეთხოვება ზაზა ბარათაშვილს და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ბატონ ვლადიმერ პაპავას ძვირფასი დედის

რუსუდან ჩხეიძე-პაპავას

გარდაცვალების გამო.

აკადემიის სახელით: **თეიმურაზ ბაბუნაშვილი, ნოდარ ჟითანავა, თამაზ დანელია.**

დააკავეს თაღლითები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დიდი ოდენობით ქონების მოტყუებით დაუფლების ორი ფაქტი გამოავლინა და ორი პირი პასუხისგებაში მისცა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ შემთხვევაში, ბრალდებული, ყალბი ნოტარიული მინდობილობის გამოყენებით, მოტყუებით დაეუფლა ქალაქ თბილისში მდებარე, კერძო პირის საკუთრებაში არსებულ 469 000 ლარის ღირებულების ჯამში 2 441 კვ.მ ფართობის მიწის სამ ნაკვეთს. მეორე შემთხვევაში, ბრალდებული, ასევე, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, მოტყუებით დაეუფლა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მდებარე, სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებულ 558 მ2 მიწის ნაკვეთს, რომლის ღირებულება 33 862 ლარს შეადგენს. ამ ეტაპზე, მოტყუებით დაუფლებული მიწის ნაკვეთები დაყადაღებულია. ასევე, ტარდება შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები აღნიშნულ დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს, აკადემიკოს ვლადიმერ (ლადო) პაპავას დედის

რუსუდან ჩხეიძის

გარდაცვალების გამო.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

კოსტავას ქ. №21.

599-79-76-79, 568-82-09-84

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა მწუხარებას გამოთქვამს აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლისა და ცნობილი საზოგადო მოღვაწის

კონსტანტინე ზაქარაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კუდაბზიკეთი

მთელი მსოფლიოს პრობლემა ხშირად შეიძლება, ერთი პატარა ქალაქის მაგალითზე ავიღოთ!

გიცხოვრიათ ქალაქში ან ქვეყანაში, სადაც რუტინული ცხოვრების წესი კლავს საზოგადოების სულს?!

კურორტ წყალტუბოში, დიადი წარსულის მქონე, მარად მწვანე ქალაქში, დანგრეული სანატორიუმის კედლებზე სირცხვილისგან წითლდებიან ნაცბანდის საარჩევნო პლაკატები. მართლაც მარტივი არ არის შეგნებული ადამიანისთვის, კიბეებჩამონგრეულ, კარებჩატეხილ, კედლებჩამოშლილ „საოცნებო“ სანატორიუმის ცოცხლად გადარჩენილ კედელზე გაკრული პლაკატი, რომლიც 2016 წლიდან, დღემდე დალხენილ ცხოვრებას გვპირდება და ვერც ასრულებს.

ერთხელ აკაკი წერეთელმა თქვა, რომ „არსებობდა ქვეყანა „კუდაბზიკეთი“, ოდესმე სახელგანთქმული და მოწონებული, მაგრამ ბოლოს კი ისე დაცემული და დაჩიავებული, რომ მისი მკვიდრები ნაცარქექაობის მეტს ვეღარას ახერხებდნენ: უსხდნენ კერას და ერთმანეთს უჩუჩხურებდნენ...

და სწორედ ამ „კუდაბზიკეთში“ ვართ ახლაც, ქალაქში, ქვეყანაში, მსოფლიოში ისეთ ადგილზე, სადაც სიცოცხლე მხოლოდ წინასაარჩევნოდ ყვავის. და თუ იმ პერიოდშიც კი, თავის მოსაწონად მაინც, ვერ მოაგვარეს, ცოცხლად ჩამკვდარი, ოდესღაც დიადი სანატორიუმ „ინტურისტის“ განადგურებული იერსახე, რომლის შიგნით მხოლოდ მცხოვრებლებმა და ღმერთმა იციან, თუ როგორი ჯოჯოხეთი ტრიალებს. მაშინ როდისღა გვეშველება?! შემდეგი „აღმშენებლობის“ არჩევნებზე ?!

ეს პლაკატები კი მყარად შერჩება კედლებს იმის დასტურად, რომ მართლა არაფერი გვეშველება, თუმცა ხმის ამოღების უფლება რომც გქონდეს, არჩევნებამდე არაფერს იტყვი, რადგან იცი, რომ „კუდაბზიკეთში“ ხარ, მთელ ამ ნაღებ საზოგადოებასთან ერთად, რომელიც მხოლოდ წინასაარჩევნოდ „ნაცარქექაობის“ თამაშს გადაჰყოლია.

ქეთევან კუხალეიშვილი,
წყალტუბო-თბილისი
598556803

ალესანდრა ამბროზიო – გულით ბრაზილიელი, მაისურით რუსი

ბრაზილიელი სუპერმოდელი ალესანდრა ამბროზიო ფეხბურთის დიდი ქომაგი რომაა, ეს ცნობილი ამბავია. სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ რუსეთში გასამართ საფეხბურთო მუნდიალამდე ყველა გააკვირვა იმ ფაქტმა, რომ ლამაზმანმა არა მისი მშობლიური ბრაზილიის, არამედ რუსეთის საფეხბურთო ნაკრების ფორმით იპოზიორა.

მაშინ მოდელმა თავისი ეს უცნაური გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ იგი ზოგადად მუნდიალის რეკლამირებას ცდილობდა და რაკი რუსეთი ამ ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანაა, საფეხბურთი პირველობას ისე ვერაფერი გაარეკლამებდა, როგორც მასპინძელი გუნდის მაისურის ფრიალი.

ამ ამბავს ბრაზილიის ბულვარულ და სპორტულ მედიაში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ბევრმა ადამიანმა ალესანდრა სამშობლოს ღალატშიც კი დაადანაშაულა, რამაც ლამაზმანი ძალიან გააბრაზა და ამბროზიომ შუბლშეჭმუხვნით განაცხადა, რომ იგი ბრაზილიელია და ამით განსაკუთრებულად ამაყობს. ტანზე კი რას მოირგებს – ეს მხოლოდ მისი საქმეა.

როსტომ რაჭველიშვილი

ეცით თუ არა, რომ...

...მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით, ჩვილები დედის რძით დაბადებიდან სულ მცირე ორ წლამდე, მოთხოვნის შემთხვევაში კი რამდენიც საჭირო იქნება, იმდენ ხანს უნდა იკვებებოდნენ?

...2017 წლის ზაფხულში ზიმბამბვეს პრეზიდენტმა რობერტ მუგაბემ თავისი კუთვნილი საჯიშე საქონლის ჯოგი გაყიდა და მილიონი დოლარი აფრიკის კავშირს შესწირა?

...კოღოს ნაკბენით გამოწვეულ ქავილს ყველაზე უკეთ ოდეკოლონის მისხურება აამებს?

...ადამიანისთვის აუცილებლობის მხრივ წყალი მეორე ადგილზეა ჟანგბადის შემდეგ, მის გარეშე კაცი 5-7 დღე-ღამეზე მეტს ვერ ძლებს, სიცოცხლის მანძილზე კი 40 ტონამდე წყლის დალევა შეუძლია?

...დღესდღეობით სკანდალურად ცნობილმა ბალერინამ მატილდა კსეშინსკაიამ 1917 წელს სასამართლო პროცესი წამოიწყო ბოლშევიკებისა და ვლადიმერ ლენინის წინააღმდეგ თავისი სახლის უკანონოდ ჩამორთმევის გამო და ის... მოიგო?

...მსოფლიოში ყველაზე ძველი ჭადრაკი ჩრდილოეთ შოტლანდიის კუნძულ ლიუსზეა ნაპოვნი და მე-12 საუკუნით თარიღდება, ყველაზე ხანგრძლივი საჭადრაკო პარტია კი 1989 წელს ბელგრადის ტურნირზე 20 საათსა და 15 წუთს გრძელდებოდა, რის შემდეგ ფიდემ წესი შემოიღო, რომ თუკი 100 სვლაში არც ერთი ფიგურა არ იქნა აღებული, ყაიმი ცხადდება?

ძილის „ულუფა“

ქრონიკულ უძილობას შეუძლია ადამიანის იმუნური სისტემის დათრგუნვა.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა 11 ტყუპის ძილის მონაცემები გააანალიზეს და დაადგინეს, რომ მათ, ვისაც დღეღამეში 7 საათზე ნაკლები ეძინა თავიანთ ძმებთან ან დებთან შედარებით, ვისაც საკმარისად ეძინათ, დათრგუნვილი იმუნური სისტემა ჰქონდათ.

ტკივილის ინდიკატორი

მედიკოსებმა დაადგინეს, რომ გულში ტკივილებს ქალები მამაკაცებზე ნაკლებად გრძნობენ.

გაირკვა, რომ ქალებში 50 პროცენტით უფრო ხშირად ხდება ინფარქტის „ჩუმი შეტევა“, როცა ადამიანი მოახლოებული კატასტროფის საფრთხეს ვერ გრძნობს.

თუკი ტკივილის დაბალი ზღურბლის გამო მამაკაცები მაშინვე განგაშს ტეხენ, ქალები მარტივად იტანენ გულმკერდში ტკივილებს, რაც მეტად ართულებს დროულ დიაგნოსტირებას.

კიდევ ერთი საინტერესო სტატია აჭარის შესახებ

პოლონური „National Geographic Traveler“ აჭარის შესახებ კიდევ ერთ სტატიას აქვეყნებს. სტატია სახელწოდებით „ცხოვრების მთავარი მოგზაურობა“ მაგელანის ჯილდოს ლაურეატის, მწერლისა და ჟურნალისტის სერგიუს პინკვარტის აჭარაში მოგზაურობას აღწერს. **„ქართველები დარწმუნებულები არიან, რომ შავი ზღვის სანაპირო ყველაზე ლამაზი ადგილია მსოფლიოში“** – იწყებს წერას ჟურნალისტი და მკითხველს თავისი დადებით შთაბეჭდილებებს უზიარებს აჭარის ტურისტულ ღირსშესანიშნაობების, პროდუქტების, ტრადიციებისა და კულტურის შესახებ. ის ასევე, საუბრობს ალისა და ნინოს, არგონავტების, გონიოს ციხის შესახებ და ქართულ სტუმართმოყვარეობას უსვამს ხაზს.

წელს ეს პოლონური „National Geographic Traveler“-ის მეორე სტატიაა აჭარის შესახებ. პირველი სტატია მარტში გამოქვეყნდა, სადაც ბათუმი ევროპაში საუკეთესო ტურისტული ქალაქების ათეულში იყო დასახელებული. ორივე სტატია ჟურნალში აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მხარდაჭერით მომზადდა.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4586; ევრო - 2.8554;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2591;
100 რუბლი - 3.9193; თურქული ლირა - 0.5212;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4535;
1000 სომხური დრამი - 5.1008.

ამინდი 20 ივნისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +14, დღე +30
მთიანი რაიონები - ღამე +9, დღე +27
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +31
მთიანი რაიონები - ღამე +12, დღე +28
თბილისი: ღამე +17, დღე +30

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge